

24 საათი

ყუთაბი და ხელმოწერები

A2



ლიტვა - საქართველოს საუკეთესო მეგობარი ევროკავშირში

A3



ჩეჩენი ქალები მარიატის კანონის მსხვერპლნი ხდებიან

A8



იცვლება თუ არა მსოფლიო და უნდა შევიცვალოთ თუ არა ჩვენ?

ბი ანდია

გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-საქართველოს ომი, მემარცხენე ბარაკ ობამას მოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების სათავეში - ის მოვლენებია, რის გამოც საერთაშორისო ექსპერტები მსოფლიო ურთიერთობებში პარადიგმის ცვლაზე

ალაპარაკდნენ. ზოგიერთი მათგანის აზრით, დღეს მიმდინარე მოვლენები თავისი მასშტაბით არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლა და მისგან გამომდინარე შედეგები. დავით აფრასიძის სტატია "24 საათის" 2 მარტის ნომერშიც აქეთკენ მიგვანიშნებს: შესაძლოა, ცივი ომის შედეგად წესრიგის აღსასრულთან და საერთაშორისო ურთიერთობების ახალ პარადიგმასთან გვექონდეს საქმე.

ხოლო არ აზიარებენ ექსპერტები? ჯერ ადრეა ამ შეკითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა. 2001 წლის 11 სექტემბერსაც გვქონდა განცდა, რომ მსოფლიო წესრიგი ძირფესვიანად შეიცვლებოდა, თუმცა ცვლილებები არც ისე გლობალური აღმოჩნდა, როგორც მაშინ გვეგონა. მაგრამ

მთავარი ის არ არის, სწორად მსჯელობენ თუ არა ექსპერტები. მთავარი ისაა, რომ დღეს დასავლეთში ბევრ პოლიტიკოსს, მათ შორის გადანყვეტილების მიმდევრებს, მსგავსი მოლოდინები აქვს. მოლოდინები და აღქმები კი პოლიტიკაში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაქტები.

ბაზრძალაბა A4 გვერდზე

ტესტი ევროკავშირისთვის

დიმიტრი ავალიანი

ჟენევის შეთანხმება არ სრულდება - აცხადებენ საქართველოს ხელისუფლება და ევროპელი დამკვირვებლები. ოსური მხარის მიერ საქართველოს ორი მოქალაქის გატაცების გამო ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიამ ინციდენტების პრევენციის ერთობლივი მექანიზმის სასწრაფოდ ამოქმედება მოითხოვა, თუმცა ცხინვალის რეჟიმში ევროპელ დამკვირვებლებს მიკერძოებაში ადანაშაულებს და მათი მოთხოვნის შესრულებას არ ჩქარობს.

შეთანხმება ინციდენტების ერთობლივი პრევენციის შესახებ ჟენევის კონსულტაციების ბოლო რაუნდზე, ყველა მხარის თანხმობით მიიღეს.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ჰანსიორგ შაბერი

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group **ჟი ჟი ჟი**
შენი სადაზღვეო ჯგუფი

24 საათი **The New York Times** **Weekend**
Articles selected for **24 Saati**

1 მარტიდან

საჯარო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ელირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ელირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმოწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით	52 ლარი;
6 თვით	26 ლარი;
3 თვით	13 ლარი;
1 თვით	4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;

დღეს ჰილარი კლინტონი გრიგოლ ვაშაძეს პირველად შეხვდება

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილი ბრიუსელის შეხვედრას "ძალიან მნიშვნელოვანს" უწოდებს. მისი განმარტებით, ეს შეხვედრა განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იქცევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს პირველად შეხვდება. "იმედი გვაქვს, ეს შეხვედრა ურთიერთგაგების ატმოსფეროში გაიმართება. ურთიერთგაგება კი ჩვენ ორ საკითხში გვსურს: დახმარება რუსული აგრესიის შეკავება-მთოკვაში და პროგრესის მიღწევა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობაში," - განაცხადა დარჩიაშვილმა.

დღეს ბრიუსელში ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართება, რის შემდეგაც ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა დაგეგმილი პირველი

თბილისი მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენაზე ფიქრს მხოლოდ რუსეთის მიერ სამი ძირითადი პირობის შესრულების შემდეგ დაიწყებს

ოფიციალური თბილისი მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენაზე ფიქრს მხოლოდ რუსეთის მიერ სამი ძირითადი პირობის შესრულების შემდეგ დაიწყებს. "ესენია ფედერაციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება," - ასე პასუხობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე რუსეთის დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩოვის მიერ "რასიისკაია გაზეტასთან" გუშინ გაკეთებულ განცხადებას. ამასთან, ვაშაძის განმარტებით, თბილისს მოსკოვისთვის ურთიერთობის აღდგენა არ შეუთავაზებია. "ჩვენ მზადყოფნა გამოვხატეთ რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებების გაგრძელების თაობაზე და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი სამ ფუნდამენტურ პრინციპს შეასრულებს: აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას," - ამბობს ვაშაძე და აქვე დასძენს, რომ "დროა, რუსეთმა დაიწყოს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღქმა და არა მისი პრივილეგირებული ინტერესის სფეროსი". "თუ რუსეთი ამ პრინციპებს აღიარებს, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას წინ აღარაფერი დაუდგება," - განაცხადა ვაშაძემ.

რუსეთის დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩოვი "რასიისკაია გაზეტას" რეგიონული გამოცემის გუშინდელ ნომერში საქართველოზე საუბრობს. კოსაჩოვი აღნიშნავს, თუ როგორ სურს რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზება, თუ როგორი როლი და სპონტანური გადაწყვეტილება იყო რუსეთისათვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და როგორი საფრთხის შემცველია თავაც საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ნატო-ს წევრობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემა. სავარაუდოდ ნ მარტიდან დაიწყება

შვეიცარიის კონფედერაციის ულმ ლორენს ვანბეკის განმარტებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გაცემა შეზღუდული რაოდენობით 6 მარტიდან დაიწყება. რუსეთისა და საქართველოს ინტერესების დამცავი სექციები თბილისსა და მოსკოვში გუშინ გაიხსნა. შვეიცარიის ელჩის განმარტებით, რუსეთის მოქალაქეებზე საქართველოს ვიზების გაცემა არა შვეიცარიის საელჩოში, არამედ ჭავჭავაძის 52-ში, რუსეთის საელჩოს ყოფილ შენობაში მოხდება. "ორმხრივი მოლაპარაკებების პროცესი წარმატებით დასრულდა. ჩვენ დავიცავთ საქართველოსა და რუსეთის ინტერესებს, რადგან ინტერესების დაცვის 40- წლიან გამოცდილება გვაქვს. ჩვენ ამერიკაში ვიცავთ კუბის ინტერესებს, ხოლო თერანში ამერიკის ინტერესებს," - განაცხადა ლორენს ვანბეკმა.

საქართველოს ინტერესების დამცველ სექციას მოსკოვში გივი ჟორჯიანი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ საქართველოს საგარეო უწყების ევროპის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ირაკლი კახა ჩიტაია განუცხადა.

მსივე განმარტებით, თბილისში მოსკოვის ინტერესების დამცავ სექციას ანდრეი სმაგა ჩაუდგება სათავეში. "ვიზები გაცივება შეზღუდულად, მხოლოდ სამკურნალო მიზნით და ასევე პირველი რიგის ნათესავებზე. საქართველოში რუსეთის ინტერესების დამცავ სექციაში 16 რუსი დიპლომატი იმუშავებს," - დასძინა ჩიტაიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ირაკლი ალასანიას ბრიუსელში შეხვედრებს განაგრძობს

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია ბრიუსელში ოფიციალურ პირებთან შეხვედრებს განაგრძობს. ალასანიას გუშინ ევროკავშირის უმაღლეს კომისარს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხაიერ სოლანას შეხვდა. მხარეებმა საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების საკითხები განიხილეს. ირაკლი ალასანია თბილისში უახლოეს დღეებში დაბრუნდება. **მედიანუსი**

ყუთი და ხელმოწერები

ოპოზიცია სამოქმედო გეგმაზე მუშაობს და 9 აპრილისთვის ემზადება

დათო გაიხსონია

ყოფილ საარჩევნო ბლოკში - "გაერთიანებულ ოპოზიციაში" შემავალ პოლიტიკურ პარტიათა ნაწილმა გუშინ თბილისის მეტროსადგურებთან ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები გამვლელებს ურიგებდნენ ფურცლებს, წარუერთი - "ერთად გადავარჩინოთ საქართველო - გადადგეს სააკაშვილი." ამ ფურცლებზე ხელმოწერის მსურველები, გარდა ხელმოწერისა, მიუთითებდნენ საკუთარ კოორდინატებს და ფურცელს საგანგებოდ დადგმულ ყუთში ავსებდნენ. პროტესტის ასე გამოხატვა ერთი კვირის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. ოპოზიციონერების აზრით, ყველა ის მოქალაქე, ვინც ხელმოწერილ ფურცელს ყუთში ჩაუშვებს, 9 აპრილს, რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ მიტინგზე აუცილებლად მივა.



სალო ლიპინიძის ფოტო

ნამონყებულ აქციასთან დაკავშირებით "24 საათი" ესაუბრა "კონსერვატორების" ლიდერ კახა კუკავას.

ბატონო კახა, რა მიზანი აქვს ხელმოწერების შეგროვებას?

- პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი შეთანხმდა, რომ 9 აპრილს ჩვენ საპროტესტო აქციაზე ვიკრიბებით და ვინცებთ სააკაშვილის გადაყენების პროცედურას. ამჟამად, უბრალოდ, იმის დემონსტრირება ხდება, თუ რამდენად მასშტაბურია ამ პროცესში რიგითი მოქალაქეების მონაწილეობა.

- "ალიანსი საქართველოსთვის" საერთო სახალხო გამოკითხვის ჩატარებას გეგმავს. ხომ არ აპირებთ მათთან თქვენ მიერ შეგროვებული ხელმოწერების გაერთიანებას?

- სხვათა შორის, კარგი იდეაა და თუკი ბატონი ირაკლი ალასანია არ იქნება წინააღმდეგი, ვფიქრობ, რომ ხელმოწერების გაერთიანებას წინ არაფერი დაუდგება.

- არასაპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობა იზიარებს 9 აპრილს, რუსთაველის ტაშის გამართვას იდეას, მათ შორის "კონსერვატორების" ყოფილი პოლიტიკური პარტნიორები. იგეგმება თუ არა ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა?

- ვიდრე არჩევნები არ იქნება, გაერთიანებას არ შეგქმნით.

ჩვენი აზრით, დღეს არასწორია ბლოკებისა და კანდიდატების პრეზენტაცია. მიუხედავად ამისა, გამოვაცხადებ, რომ 9 აპრილს გვექნება ერთიანი სამოქმედო გეგმა - ეს ითვალისწინებს საპროტესტო აქციების გზით მიხილ სააკაშვილის გადაყენებას.

ჩამოაყალიბეთ თუ არა სამოქმედო გეგმა? რის გაკეთებას აპირებთ 9 აპრილამდე და მას შემდეგ?

- ჯერჯერობით გეგმა დამუშავების სტადიაშია და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. ხოლო 9 აპრილამდე ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას ყოველი კვირის დასაწყისში გამოვაქვეყნებთ. რაც შეეხება დაფინანსების წყაროს, უნდა გითხრათ, რომ მეტროსადგურებთან ყუთების დადგმა დიდ თანხას არ მოითხოვს. სააკაშვილმა ბიზნესმენები დაატერორა, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში გამოჩნდებიან გაბედული ადამიანები და გაიღებენ შემოწირულობებს.

- რამდენიმე ოპოზიციური პარტიას მოქმედების განსხვავებული მეთოდი აქვს, ამ ვითარებაში როგორ ხედავთ მათთან თანამშრომლობის გზებს?

- 9 აპრილის აქციაზე მოსვლა უკვე ნიშნავს, რომ ჩვენ ერთ საქმეს გავაკეთებთ.

"24 საათი" ესაუბრა "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის"

ვის" გენერალურ მდივან ეკა ბესელიას. მისი თქმით, სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციები ყოველდღიურად გაიმართება.

ქალბატონო ეკა, რა შედეგს ელით მეტროსადგურებთან ხელმოწერების შეგროვებით?

- ჩვენი პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია ხელმოწერებს რუსთაველის და ისინის ადგურებთან აგროვებს. მინდა, გითხრათ, რომ მოსახლეობის ასეთ დიდ აქტიურობას არც კი ველოდით. შესაბამისად, ეს პოლიტიკური აქცია რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება.

უახლოეს დღეებში რა სახის აქციები გაქვთ დაგეგმილი?

- აბსოლუტურად ყოველდღე იქნება აქციები. ამ კვირაში ხელმოწერები შეგროვდება, შემდეგი კვირიდან ჩვენ უკვე ვინცებთ რეგიონებში გასვლას და დიდ ქალაქებში მიტინგების ორგანიზებას, ასევე ვგეგმავთ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრას, ხოლო მარტის მეორე ნახევარში საერთო სახალხო მსვლელობები მოეწყობა. თითქმის ყოველდღე გამოცხადდება ახალი ღონისძიების შესახებ. აპრილამდე არც ერთ დღეს უქმად არ ვიქნებით, ხოლო 9 აპრილის შემდეგ საპროტესტო აქციები სააკაშვილის გადადგომამდე გაგრძელდება. რამდენი დღეც არ უნდა დაგვჭირდეს,

ამას მაინც გავაკეთებთ.

აპირებთ თუ არა თანამშრომლობას იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც არ ეთანხმებიან მოქმედების თქვენულ ხედვას?

- ძალიან კარგია, რომ სხვადასხვა სტრატეგიები არსებობს, რადგან ეს მრავალფეროვანი და ფართოდ გამოხილული ბრძოლაა. მნიშვნელოვანია, რომ ყველას ერთი მოთხოვნა აქვს. ეს სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ ვითარება გართულდებოდა. ოპოზიცია სააკაშვილს გადასაცემლად განსხვავებულ ფორტებზე იბრძვის და ამას მივყვალვებით.

რაც შეეხება საპროტესტო აქციათა დაფინანსებას. ხელისუფლებამ მოითხოვა პარტიათა დაფინანსების და მათი თანხების ხარჯვის გაკონტროლება. არის თუ არა ეს პროცესი გამჭვირვალე?

- ხელისუფლებამ ჯერ საკუთარი შემოსავლები და დაფინანსების წყაროები გამოააშკარავოს, დააბრუნოს ის მილიონები, რაც სააკაშვილს, მერაბიშვილს, კეზერაშვილს, თარგამაძეს აქვთ მოპარული. ჯერ საკუთარ ქმედებებზე აგონ პასუხი და შემდეგ ჩვენც გამოიშვირონ ხელი. სააკაშვილს არ უნდა, რომ 9 აპრილისთვის ოპოზიციისკენ ფინანსები წამოვიდეს და ამიტომ ხელისუფლებამ პრევენციული განცხადებები გააკეთა.

ბრიუსელში ნატო-საქართველოს

კომისიის მორიგი სხდომა გაიმართება

დღეს ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის მორიგი სხდომა გაიმართება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური და ქართული დელეგაციის სხვა წარ-

მომადგენლები, მათ შორის თავდაცვის მინისტრი დავით სისხარულიძე, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ბრიუსელში უკვე გაემგზავრნენ.

ნატო-საქართველოს კომი-

სიის ბოლო სხდომა 20 თებერვალს ჩატარდა, რომელზეც განხილულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობისა და ყველა ის საკითხი, რომელიც საქართველოს თავდაცვის კუთხით აწუ-

ხებს. ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დაწყებამდე ბრიუსელში, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალიც გაიმართება.

ჯი-ეიჩ-ენი

გაზეთი "24 საათის" გამოცემაში მას "მკვ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუხამიძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღონისძიანი (მმართველ რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაიანი (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშვილი (რეგიონი), კახა ფარუშაშვილი (სპორტი). **რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი:** ირაკლი ლევაჯა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუვაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი

არქივის მუშაკებს ულოცავს პროფესიულ დღესასწაულს, უსურვებს წარმატებას

საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში

ტესტი ევროკავშირისთვის

პირველი გამოცდა

ევროკავშირის დასამკვირვებლო მისიამაც მოითხოვა. მისიამ განაცხადეს, რომ საქართველოს ორი მოქალაქის დაკავების ფაქტი "ხაზს უსვამს ინციდენტების პრევენციის მექანიზმის განხორციელებაში წინსვლის მიღწევის აუცილებლობას".

"ეს შემთხვევა აშკარად ხდის ადმინისტრაციულ საზღვარზე სისტემური გადაადგილების საკითხის მოგვარების აუცილებლობას. ორივე მხარეს მყოფი მოქალაქეების კანონიერი ინტერესია საზღვრის გადაკვეთა ისე, რომ ციხეში ან სასამართლოს წინაშე არ აღმოჩნდნენ. უნდა არსებობდეს გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა წესები იმოქმედებს," - განაცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ჰანსი-ორგ ჰაბერმა. მისი თქმით, ყენევაში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, მსგავსი სიტუაციის გარკვევა და დაძაბულობის შემცირება მხოლოდ ყველა მხარეს შორის რეგულარული შეხვედრების მეშვეობით არის შესაძლებელი.

"იმედი მაქვს, მიღწეული იქნება პროგრესი ამგვარი შეხვედრებისათვის დეტალური პირობების შეთანხმებაში, რათა სამომავლოდ მსგავსი ინციდენტები აღიკვეთოს," - განაცხადა ჰაბერმა.

ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელის ადრინდელმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ საქართველოს ორი მოქალაქე დაკავდა, რომ ციხეში აღმოჩნდა, რომ არც ცხინვალის მარინეტული რეჟიმი და არც რუსეთის ხელისუფლება არ აპირებს შენევაში სულ ახლახანს ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებას," - განაცხადა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.

დავით კაპანაძე და დემურ ჭილაძე დღეისთვის ცხინვალის ციხეში, "საზღვრის უკანონო გადაკვეთის" ბრალდებით იმყოფებიან. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ბოლო ინციდენტი სერიოზული ტესტია ევროკავშირისთვის, რომელიც ეუთო-სთან და გაეროსთან ერთად შეამავლის როლს ასრულებს შენევის მოლაპარაკებებში და ადგილზე დამკვირვებლებიც ჰყავს.

ყენევის შეთანხმების რეა-

ლიზაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამაც მოითხოვა. მისიამ განაცხადეს, რომ საქართველოს ორი მოქალაქის დაკავების ფაქტი "ხაზს უსვამს ინციდენტების პრევენციის მექანიზმის განხორციელებაში წინსვლის მიღწევის აუცილებლობას".

"ეს შემთხვევა აშკარად ხდის ადმინისტრაციულ საზღვარზე სისტემური გადაადგილების საკითხის მოგვარების აუცილებლობას. ორივე მხარეს მყოფი მოქალაქეების კანონიერი ინტერესია საზღვრის გადაკვეთა ისე, რომ ციხეში ან სასამართლოს წინაშე არ აღმოჩნდნენ. უნდა არსებობდეს გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა წესები იმოქმედებს," - განაცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ჰანსი-ორგ ჰაბერმა. მისი თქმით, ყენევაში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, მსგავსი სიტუაციის გარკვევა და დაძაბულობის შემცირება მხოლოდ ყველა მხარეს შორის რეგულარული შეხვედრების მეშვეობით არის შესაძლებელი.

"იმედი მაქვს, მიღწეული იქნება პროგრესი ამგვარი შეხვედრებისათვის დეტალური პირობების შეთანხმებაში, რათა სამომავლოდ მსგავსი ინციდენტები აღიკვეთოს," - განაცხადა ჰაბერმა.

ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელის ადრინდელმა გან-

ცხადებამ იმის შესახებ, რომ საქართველოს ორი მოქალაქე დაკავდა, რომ ციხეში აღმოჩნდა, რომ არც ცხინვალის მარინეტული რეჟიმი და არც რუსეთის ხელისუფლება არ აპირებს შენევაში სულ ახლახანს ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებას," - განაცხადა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.

დავით კაპანაძე და დემურ ჭილაძე დღეისთვის ცხინვალის ციხეში, "საზღვრის უკანონო გადაკვეთის" ბრალდებით იმყოფებიან. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ბოლო ინციდენტი სერიოზული ტესტია ევროკავშირისთვის, რომელიც ეუთო-სთან და გაეროსთან ერთად შეამავლის როლს ასრულებს შენევის მოლაპარაკებებში და ადგილზე დამკვირვებლებიც ჰყავს.

ყენევის შეთანხმების რეა-

ლიზაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამაც მოითხოვა. მისიამ განაცხადეს, რომ საქართველოს ორი მოქალაქის დაკავების ფაქტი "ხაზს უსვამს ინციდენტების პრევენციის მექანიზმის განხორციელებაში წინსვლის მიღწევის აუცილებლობას".

"ეს შემთხვევა აშკარად ხდის ადმინისტრაციულ საზღვარზე სისტემური გადაადგილების საკითხის მოგვარების აუცილებლობას. ორივე მხარეს მყოფი მოქალაქეების კანონიერი ინტერესია საზღვრის გადაკვეთა ისე, რომ ციხეში ან სასამართლოს წინაშე არ აღმოჩნდნენ. უნდა არსებობდეს გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა წესები იმოქმედებს," - განაცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ჰანსი-ორგ ჰაბერმა. მისი თქმით, ყენევაში მიღწეული შეთანხმების მიხედვით, მსგავსი სიტუაციის გარკვევა და დაძაბულობის შემცირება მხოლოდ ყველა მხარეს შორის რეგულარული შეხვედრების მეშვეობით არის შესაძლებელი.

"იმედი მაქვს, მიღწეული იქნება პროგრესი ამგვარი შეხვედრებისათვის დეტალური პირობების შეთანხმებაში, რათა სამომავლოდ მსგავსი ინციდენტები აღიკვეთოს," - განაცხადა ჰაბერმა.

შამბა გალის ქართული მოსახლეობისთვის დამზადებულ რუსულ პასპორტებს იწუნებს

გალის რაიონის ქართული მოსახლეობისთვის რუსეთის ფედერაციაში დამზადებული რუსული პირადობის მოწმობები შესაძლოა, კიდევ ერთხელ შეიცვალოს. სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განმარტებით, ამის მიზეზი რუსულ პასპორტების ჩანაწერში მოქალაქეთა დაბადების ადგილთან დაკავშირებით "დამზადებული შეცდომაა". "დაბადების ადგილად რუსულ პასპორტებში საქართველოა მითითებული. გაუგებარია, როგორ მოხდა ეს. ამ საკითხზე უკვე ვესაუბრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და ის მზადდა, ეს შეცდომა გამოვასწოროთ," - განაცხადა შამბამ, რომელიც აღნიშნული "შეცდომის გამოსასწორებლად" მოსკოვში გაემგზავრება და გალის რაიონში მცხოვრებ ქართული მოსახლეობისთვის დამზადებულ პასპორტებს უკან ჩაიტანს და მათ შეცვლას მოითხოვს. გალში მცხოვრებ ქართველებს რუსული პასპორტების მიღებას აიძულებენ. მათთვის ფედერაციაში უკვე დამზადდა ახალი პირადობის მოწმობები, რომლითაც რაიონის მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობა ენიჭება. შამბამ რუსული პასპორტი ამჟამად გალის რაიონის ადმინისტრაციამ შენახული, თუმცა აღნიშნული "შეცდომის" გამო მას მოსახლეობას არ ურიგებენ. **ჯი-იჩი-ენი**

აჭარის დელეგაციამ ბაქოში ვიზიტი დაასრულა

აჭარის დელეგაციის ვიზიტი ბაქოში გუშინ დასრულდა. გამოგზავრების წინ ლევან ვარშალომიძემ ბაქოში აჭარის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრი მოინახულა, ქალაქი და ათეულიერა და ისტორიულ მუზეუმში მივიდა. ბაქოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე აზურბაიჯანის პრეზიდენტს შეხვდა. ლევან ვარშალომიძემ და ილჰამ ალიევიმ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაზე ისაუბრეს. შეხვედრები გაიმართა პრემიერ-მინისტრთან, მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებთან და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მთავარი თემა ტურიზმი და აჭარაში აზერბაიჯანული ინვესტიციების მოზიდვა იყო. შეხვედრებზე გადარჩა, რომ აზერბაიჯანის დელეგაცია საპასუხო ვიზიტით აჭარას მალე ეწვევა. **ჯი-იჩი-ენი**

"ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკურმა კომიტეტმა პრეზიდენტობის კანდიდატად შალვა ნათელაშვილი დაასახელა

"ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკურმა კომიტეტმა პრეზიდენტობის კანდიდატად შალვა ნათელაშვილი დაასახელა. პარტიის პოლიტიკურ მდივან გიორგი გუგავას განცხადებით, ქვეყნის გადარჩენისთვის ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალია.

"ჩვენი პარტია პასუხისმგებლობას იღებს სამშობლოსა და ხალხის წინაშე და საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე არსებული რეჟიმისადმი შეურიგებელი პოლიტიკური ლიდერის შალვა ნათელაშვილის კანდიდატურას ასახელებს," - განაცხადა გუგავამ. პარტიის პოლიტიკური მდივანის განმარტებით, არსებული ხელისუფლების დაუყოვნებლივი დემონტაჟის, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის, კონსტიტუციური რეფორმების განხორციელების, ერთიანი, ეროვნული პასუხისმგებლობის კოალიციური მთავრობის ფორმირების, საქართველოს მოსახლეობის გადარჩენისა და განვითარებისთვის აუცილებელი სოციალური პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, "ლეიბორისტული პარტია" პოლიტიკურ პარტიებთან, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და ქართველ ხალხთან ფართო კონსულტაციებს იწყებს. "კონსულტაციები ისეთ საკითხებზე გაიმართება, როგორიცაა სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა და საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელება, რაც ასე აუცილებელია მოსახლეობის გადარჩენად და ქვეყნის განვითარებისთვის," - ნათქვამია პარტიის საგარეო განცხადებაში, რომელიც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ ჟურნალისტებს.

"ლეიბორისტებს" 9 აპრილის დადგენილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობა ჯერ არ გადაუწყვეტიათ. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ ჟურნალისტებს განუცხადა, როგორც კი მიღებული იქნება კონკრეტული გადაწყვეტილება ამ საკითხზე, მას აუცილებლად შეიტყობს საზოგადოება. აქციაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 12 პოლიტიკური ოპოზიციური პარტია, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. აქცია რუსთაველის გამზირზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით შედგება.

შაიდი ტალიაინი აფხაზეთიდან თბილისში გუშინ დაბრუნდა

რუსულ-ქართული ომის შემსწავლელი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე შაიდი ტალიაინი აფხაზეთიდან თბილისში გუშინ დაბრუნდა. ტალიაინი სეპარატისტული აფხაზეთის 2 მარტს ეწვია. იგი აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს სერგეი ბაგაფშს, დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას, ასევე სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებს რაულ ხაჯიმბას, სტანისლავ ლაკობას, სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბას და გაეროს მისიის წარმომადგენლებს შეხვდა. **პირველი**

ლიტვა - საქართველოს საუკეთესო მეგობარი ევროკავშირი

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის თქმით, ლიტვა საქართველოსადმი ყველაზე მეტობრულად განწყობილი ქვეყანაა ევროკავშირში. სპიკერის ეს შეფასება გადაჭარბებული რომ არ არის, ჯერ კიდევ აგვისტოს ომის დროს გამოვლინდა. იმ პერიოდში თბილისში საგანგებოდ ჩამოსულმა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა პეტრას ვაიტიკუნასმა მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ აეროპორტის ასაფრენ ზოლზე გაათვება ლამეს, რათა რუსეთის მიერ საქართველოს დედაქალაქის საპაერო კარიბჭის დაბომბვა თავიდან აეცილებინა და თუ მოსკოვი ასეთი ნაბიჯის გადადგმას მინც გაბედავდა, საერთაშორისო საზოგადოება ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის ნომერ პირველი დიპლომატის დალუპვისთვის კრემლს მკაცრად მოსთხოვდა პასუხს. ვაიტიკუნასი დღეს ისევ თბილისშია, ოლონდ არა როგორც ისევ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი, არამედ როგორც ლიტვის სეიმის თავმჯდომარის მრჩეველი. ასე რომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, როგორ რჩევებს აძლევს პეტრას ვაიტიკუნასი დავით ბაქრაძის კოლეგას და მის გუშინდელ სტუმარს არუნას ვალინსკასს.

გიორგი ასანიშვილი

დავით ბაქრაძის განცხადებით, ვალინსკასთან მისი შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა კონფლიქტების მოგვარების საკითხი იყო. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს საგანგაშოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ არ სრულდება ყენევაში მიღწეული შეთანხმება ინციდენტების აღკვეთის შესახებ.

"პირველივე ინციდენტის დროს, როდესაც მძევლად აიყვანეს საქართველოს ორი მოქალაქე, გამოჩნდა, რომ არც ცხინ-

ვალის მარინეტული რეჟიმი და არც რუსეთის ხელისუფლება შეთანხმების შესრულებას არ აპირებენ. ეს არის სერიოზული ტესტი ევროკავშირისთვის. მან უნდა აიძულოს ყენევის ფორმატის მონაწილეები, რომ ადგილობრივი ვალდებულებები შეასრულონ," - აღნიშნა ლიტველ კოლეგასთან ერთად გამართულ გუშინდელ ბრიფინგზე დავით ბაქრაძემ.

ქართულ მხარეს განზრახული აქვს, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის საპირაპირებლად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნაზე გამოიყენოს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, აპრილისთვის სეიმის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ რომელი პოლიტიკური ძალაც არ უნდა იმყოფებოდეს მისი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში, ყველა თავს ვალდებულია მიიჩნევს, მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

"ჩვენ არა მარტო ხიდი ვართ ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციის საკითხში, არამედ ასევე წარმოვადგენთ თქვენს ხმას და ტრიბუნას, რომლითაც ყოველთვის შეგვიძლია ისარგებლოთ. ჩვენ კარგად გვესმის თქვენი - ანალოგიური პრობლემების წინაშე იდგა ლიტვა 20 წლის წინათ. ამიტომ, გვინდა გირჩიოთ, რომ მოიკრიბეთ სიმ-

ხნევე და არ აპყვეთ პროვოკაციას, რომელსაც სხვა ქვეყანა ასე ელოდება," - ასეთ რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელი-სუფლებას მეგობარი ქვეყნის სეიმის თავმჯდომარე.

ამასთან, არუნას ვალინსკასი პირდაპირ აცხადებს, რომ ევროკავშირსა და ნატო-ში განვერია-ნებამდე საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

"მაგრამ თუ ასეთი მიზანი არ დაისახე, მას ვერასდროს მიაღწევ. მიზნის მიღწევაში კი მეგობრები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ," - დასძენს ლიტველი სტუმარი.

ლიტვის საპარლამენტო დელეგაციის საქართველოში ვიზიტის პროგრამა საკმაოდ დატვირთულია. ვილინუსელი სტუმრები გუშინ, დავით ბაქრაძის გარდა, შეხვედრენ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს, სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძეს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. გუშინვე ლიტვის დელეგაციამ გვირგვინებით შეამკო 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალი, დაათვალიერა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი და მონაწილეობა მიიღო საქართველო-ლიტვის სპეციალურულ სამშენებლო ბიზნეს-ფორუმში.

ლიტვის საპარლამენტო დელეგაციის საქართველოში სტუმრობა ხვალ დასრულდება.

ისვლება თუ არა მსოფლიო და უნდა შევიცვალოთ თუ არა ჩვენ?

პირველი გვერდიდან

ამიტომ ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს შესაძლებელია პორიზონტი გაფართოვდა. რაც რამდენიმე თვის წინ თავისთავად ცხადი იყო, ასეთი აღარ არის. გაურკვეველობის კომპონენტი საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე მკვეთრად გაიზარდა. ცვლილებების მასშტაბი ჯერ უცნობია, მაგრამ არსებობს შეგრძნება, რომ რალაცეები იცვლება და კიდევ მეტი შეიძლება შეიცვალოს.

საქართველოს, როგორც მცირე სახელმწიფოს პრობლემა ისაა, რომ ცვლილებები უშუალოდ ეხება მის ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ მას თითქმის არა აქვს რესურსები, გავლენა მოახდინოს მათზე. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვცადოთ იმის გათვლა, რა შეიძლება მოხდეს, როგორ შეგვეხება ეს ჩვენ და როგორ უნდა მოვიქცეთ ამასთან დაკავშირებით. ქვემოთ რამდენიმე კონკრეტულ შეკითხვას დავსვამ.

რა გავლენას ახდენს (მოახდენს) ეკონომიკური კრიზისი დასავლეთის მიერ საქართველოს მხარდაჭერაზე?

თავი არ უნდა მოვიტყუოთ: გლობალური ეკონომიკური კრიზისი ხელს არ უწყობს დასავლეთის მიერ საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერებას. მაგრამ აქედან ავტომატურად არ გამომდინარეობს, რომ დასავლეთის მხარდაჭერა შესუსტდება, ან იმდენად შესუსტდება, რომ საქართველოს ინტერესები არსებითად დაზარალდება.

საქართველოს მხარდაჭერის სანინააღმდეგოდ შემდეგი ფაქტორები ლაპარაკობს:

1. მთელ მსოფლიოში პოლიტიკოსების ყურადღება ძირითადად ეკონომიკური პრობლემებითაა დაკავებული. თუ პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ დღეს ეკონომიკის გარდა სხვა პრიორიტეტი ვერ ექნება, იმავე ჭკუაზე არიან სხვა ქვეყნების პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს პრობლემას ყურადღება აკლდება, რადგან ყურადღება სასრული რესურსია.

2. საქართველოს მხარდაჭერა ძირითადად ემყარება პრინციპებზე და ღირებულებებზე დამყარებულ პოლიტიკას. დასავლეთი იცავს საქართველოს უფლებას, თავად აირჩიოს თავისი მომავალი; ის ებრძვის დიდი სახელმწიფოს მცდელობას, მეზობელ სუსტ ქვეყანას თავისი ნება მოახვიოს. პრაგმატული "რეალპოლიტიკის" მომხრეები ნაკლებად იცავენ საქართველოს. მათი არგუმენტია: რატომ უნდა გავიფიქროთ ურთიერთობა რუსეთთან პატარა, მთებში გადაკარგული საქართველოს გამო? ეკონომიკური კრიზისის კონტექსტი ასუსტებს პოლიტიკურ ნებას, რაც პრინციპებზე და ღირებულებებზე დამყარებულ პოლიტიკას სჭირდება. პოლიტიკოსები დღეს თვითგადარჩენაზე უფრო ფიქრობენ, ამ დროს კი მოკლევადიანი "პრაგმატიზმი" უფრო პოპულარული ხდება.

3. ობამას ადმინისტრაციის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები ჯერ ბოლომდე ნათელი არ არის. მაგრამ ის ხაზს უსვამს თავის განსხვავებას პრეზიდენტ ბუშისგან,

რომელსაც თავისუფლების და დემოკრატიის გავრცელებაზე უყვარდა საუბარი. დღეს ვაშინგტონშიც "პრაგმატიზმი" საყვარელი სიტყვაა.

ეს ყველაფერი ახალ იმედებს უჩენს კრემლს: "საქართველოს ომი დაიწყებულია, ის ხახვივით შეგვრჩა, დასავლეთი თავიდან იწყებს რუსეთთან ურთიერთობის აწყობას, და ამ პროცესში უფრო მეტი პატივისცემასაც გამოიჩენს ჩვენს მიმართ".

ესე იგი რა - დავეკარგეთ მხარდაჭერა? ჩემი აზრით, ეს გაზვიადებული შიშია ისევე, როგორც ნაადრევია რუსების სიხარული. ჯერჯერობით გაცილებით ნაკლები შეიცვალა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გამოჩნდეს. თუ ვინმეს ეგონა, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტამდე ჩვენ მარადიულად მსოფლიოს ნომერ პირველი პრობლემა დავრჩებოდით, ხოლო დასავლეთი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებოდა რუსეთს, ეს ისედაც დიდი გულბრუნვითაა იყო. გერმანია და საფრანგეთი აგვისტოს ომამდე და ეკონომიკურ კრიზისამდეც აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენთვის მაპ-ის მინიჭებას. ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის ლიდერები სულ უსვამდნენ ხაზს, რომ რუსეთის იზოლაცია შეუძლებელია, რომ მასთან დიალოგი საჭიროა. ეკონომიკური კრიზისი დაეხმარა რუსეთს საქართველოს ომიდან ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანას, მაგრამ ამის სურვილი მანამდეც იყო.

ჩვენთვის მთავარია, დასავლეთმა არ დაარღვიოს ის "ნათელი ხაზები", რაზეც საქართველოს უსაფრთხოება პირდაპირაა დამოკიდებული. პირველ რიგში, ესაა გავლენის ექსკლუზიური სფეროების არდაშეშება და იმ პრინციპის დაცვა, რომ მცირე ქვეყნებსაც უფლება აქვთ, თავად გააკეთონ ფუნდამენტური არჩევანი. იმ განცხადებას, რომ ნატო-ს კარი საქართველოსთვის პრინციპულად ღიაა, დღეს შეიძლება პირდაპირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდეს, რადგან ნევრობის პერსპექტივა გაურკვეველ მომავალშია გადატანული, მაგრამ ის დიდ პრინციპულ მნიშვნელობას ინარჩუნებს. სიტუაცია ისევე შეიძლება შეიცვალოს და საკითხი ისევე გააქტივალდეს. აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის განახლება გვაჩვენებს, რომ არც ობამას ადმინისტრაცია აპირებს ჩვენს "მიტოვებას".

შეიძლება ეკონომიკურმა კრიზისმა უფრო ღრმა ცვლილებები გამოიწვიოს ევროპის და ამერიკის პოზიციაში? თეორიულად გამორიცხული არაა, მაგრამ თავისთავად ცხადად არააფერი უნდა მივიღოთ. მაგრამ ამ ეტაპზე განგაშის საფუძველი არ არსებობს.

რა გავლენას მოახდენს კრიზისი რუსეთის პოლიტიკაზე?

რუსეთში რომ ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებული სიმწვავეთი მიმდინარეობს, ეს საკამათო არ არის. მაგრამ რა შედეგები ექნება მას რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკისთვის, ეს ჯერ არ ვიცით. იმის მოლოდინი, რომ ეკონომიკური სიძნელები თავისთავად მოიტანს რეჟიმის რღვევას და რუსული პოლიტიკური ელიტის მიერ ქვეყნის პოლიტიკური კურსის ფუნდამენტურ გადაფასებას, შეიძლება გულბრუნვით აღმოჩნდეს. თუ რუსეთში ხელისუფლება არ შეიცვალა, ეს ნიშნავს, რომ დასავლეთის კიდევ უფრო გალიზიანებას მოერიდოს. მიმომხილველებმა უკვე აღნიშნეს დავოსში პუტინის გამოსვლის შერბილებული ტონი. მეორე მხრივ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ხელი არ აუღია საქართველოს მასშტაბიანი დესტაბილიზაციის და აქ რეჟიმის შეცვლის გეგმებზე. ცხადია, ის იმედის თვალთ შეყურებს ჩვენი ოპოზიციის საგაზაფხულო გამოცოცხლებას; ისევე, როგორც ჩვენ ვუყურებთ იმედის თვალთ ანტისამთავრობო გამოსვლებს რუსეთის პროვინციებში. მაგრამ ის, რომ რუსეთის საქართველოში უნდა რეჟიმის შეცვლა და სავარაუდოდ ცდილობს კიდევ ამ მიმართულებით პროცესების ნახალისებას, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ რუსეთს აქვს საკმარისი რესურსები მიზნის მისაღწევად, ან ამ წუთში ეს ამოცანა რუსეთის ხელისუფლების ყურადღების ცენტრშია.

რა თქმა უნდა, ვერ გამოვირიცხავთ ყველაზე უარეს სცენარსაც - საქართველოში სამხედრო მოქმედების განახლებას. მისი ალბათობა არ არის მაღალი, მაგრამ ის შესაძლებელია. ის ძნელია გაამართლო რუსეთის ეროვნული ინტერესების რაციონალური გათვლით, მაგრამ კრიზისი იმის კრიზისია, რომ ირაციონალური ქმედების ალბათობას ზრდის.

შეუძლია საქართველოს რაიმე ქმედება გავლენა მოახდინოს რუსეთის პოლიტიკურ გეგმებზე? ეს ძნელი წარმოსადგენია. მან სისუსტე და არათანამიმდევრულობა არ უნდა გამოიჩინოს და ამით რუსეთს მადა არ უნდა გაუღვიძოს - მაგრამ რუსეთის კეთილგანწყობის მოპოვების შანსი მას არა აქვს.

უკრაინის ეკონომიკურ-პოლიტიკური "ჩამოშლის" შესაძლო შედეგები

უკრაინის თავისებურება ისაა, რომ აქ ქრონიკულ პოლიტიკურ არასტაბილობას ეკონომიკური კრიზისის განსაკუთრებით მწვავე ფორმა ემატება. ექსპერტები დიდი ალბათობით წინასწარმეტყველებენ უკრაინის საფინანსო სისტემის დეფოლტს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ის, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყნის ეკონომიკის და სახელმწიფო ინსტიტუტების "ჩამოშლას" უწოდებს.

ასეთი სცენარის შედეგები არც ისე ცხადია. უკრაინა რეგიონში საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია, ამიტომ მისი, როგორც მოკავშირის დაკარგვა საქართველოს ასუსტებს. მეორე მხრივ, უკრაინის ეკონომიკა საკმაოდ დიდი და რუსეთის ეკონომი-

კასთან საკმაოდ ინტეგრირებული. მისი "ჩამოშლა" რუსეთის ეკონომიკურ კრიზისსაც კიდევ უფრო გააღრმავებს. ჩვენ არაფერი შეგვიძლია, თუ არა პარტნიორული ურთიერთობა გავაგრძელოთ უკრაინის კეთილგანწყობილ ლიდერებთან და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

თურქეთ-სომხეთის შესაძლო დაახლოება და მისი შედეგები

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც რეგიონში ხდება, სომხეთ-თურქეთის დაახლოებაა. ორი ქვეყნის დიპლომატებს შორის მკვეთრად გააქტიურებული კონტაქტები სავსებით შესაძლებელია ორი ქვეყანას შორის საზღვრის გახსნით და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დამთავრდეს. ძნელად სავარაუდოა, ეს რუსეთის ხელისუფლებას მოენონოს, რადგან ასეთ შემთხვევაში მცირდება სომხეთის მასზე დამოკიდებულების ხარისხი, მაგრამ ძნელი სათქმელია, რა რესურსები აქვს მას პროცესის გასაჩერებლად - მით უმეტეს, როცა რუსეთი თვით თურქეთთან ურთიერთობის გარღვევითაცაა დაინტერესებული. რუსეთი შეიძლება შეეცადოს, რუსეთ-სომხეთის დაახლოების პირობებზე მოახდინოს გავლენა, მაგრამ რამდენს შეძლებს, არ ვიცით.

მეორე მხრივ, თურქეთ-რუსეთის კონტაქტების მკვეთრი გაფართოება თავისი შინაარსით თურქეთის ტრადიციული ევროპული და ევროატლანტიკური ორიენტაციის საპირისპირო ვექტორის გაძლიერებას ნიშნავს. უნდა გამოვიტანოთ თუ არა აქედან დასკვნა, რომ თურქეთი ორიენტაციას იცვლის? თუ ის უზარალოდ ზენიტს ახდენს თავის დასავლელ პარტნიორებზე, ევროპასა და ამერიკაზე, რომლებიც, თურქეთის აზრით, მის ინტერესებს არასაკმარისად ითვლისწინებს? რას ნიშნავს მისი "კავკასიური პლატფორმის" ინიციატივა, რაზეც თურქი ანალიტიკოსებიც გარკვეულს ვერაფერს ამბობენ?

თურქეთ-სომხეთის შორის ურთიერთობის დათბობა რადიკალურად შეცვლის გარემოს კავკასიაში. თუ თურქეთის პოლიტიკაში კიდევ უფრო არსებითი ცვლილებები მოხდა, მაშინ რეგიონზე წარმოდგენები კიდევ უფრო არსებითად უნდა გადაახლისდეს. მაგრამ ჯერ ამ ყველაფერში გაურკვეველი შეტია, ვიდრე გარკვეული: ცვლილებები ალბათ მოხდება, მაგრამ სახელდობო რა, და რამდენად არსებითი, ჯერ არ ვიცით.

ჩვენ რა გავაკეთოთ?

რაკი გარემო იცვლება და, სავარაუდოდ, სერიოზულად იცვლება, ბუნებრივია, დავსვათ კითხვა: საქართველოს პოლიტიკაც ხომ არ უნდა შეიცვალოს?

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკის დაგეგმვა და გაზრება უფრო მეტად უნდა დაემყაროს გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. პრეზიდენტ სააკაშვილს ჰქონდა ამბიციის, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში შეეყვანა ქვეყანა ნატო-ში და ტერიტორიული კონფლიქტებიც გადაეწყვიტა. დღეს ამის ალბათობა უკიდურესად მცირეა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკის ძირითადი ორიენტაციები შეიცვალოს. დასავლეთზე, ანუ ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეზე, ორიენტაცია არ ემყარება მოკლევადიან ტაქტიკურ სარგებლიანობას: ეს საქართველოში თანამედროვე, განვითარებული და ჭეშმარიტად სუვერენული სახელმწიფოს აშენების პროგრამაა, ისევე როგორც ე. წ. რუსეთზე ორიენტაცია, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმაა საცივის და ხაჭაპურის ცივილიზაციის შენარჩუნებით. თუნდაც თუ ნატო-ს და ევროკავშირის წევრობა არ არის უახლოესი დროის პერსპექტივა, თითოეულ ამ ორგანიზაციასთან უფრო ახლო პარტნიორობისკენ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარებაში ჩადებული სერიოზული კაპიტალია.

ერთადერთი საჭირო შესწორება ეხება ევროკავშირზე და არა მხოლოდ ნატო-ზე ორიენტაციის გაძლიერებას. ნატო-ს უპირობო პრიორიტეტი გასაგები იყო, როცა ნატო-ს წევრობა, ან სულ მცირე მაპ-ის მიღება, უახლოეს პერსპექტივად რჩებოდა. მაგრამ შეცდომა აქაც იმალებოდა: ევროკავშირთან პარტნიორობისთვის მეორეხარისხოვანი როლის მინიჭება ასუსტებდა ევროპული ქვეყნების მხარდაჭერას, რაც იმავე მაპ-ის მისაღებად იყო აუცილებელი.

ევროკავშირთან დაახლოებას ჩვენი მხრიდან ხელს უშლიდა ის წარმოდგენაც, რომ ევროკავშირის მოთხოვნები აბრკოლებდა ქართული ეკონომიკური სივრცის ლიბერალიზაციას, რაც თავის მხრივ ინვესტიციების მოზიდვის ძირითად ხზად მიიჩნეოდა. ამაშიც იყო თავისი ლოგიკა. მაგრამ ეს ლოგიკაც გაზვიადებული მეჩვენება. საქართველოში ულტრალიბერალური ეკონომიკური ნაკრძალის შექმნის პროექტი შეიძლება მომხიბლავი იყოს, მაგრამ, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, ევროკავშირთან დაახლოება უფრო დიდი პრიორიტეტი. თუ ესტონეთმა შეძლო, შეეთავსებინა საკმაოდ ლიბერალური ეკონომიკური წესრიგი ევროკავშირის მოთხოვნათა შესრულებასთან, ეს ჩვენთვისაც არ უნდა იყოს შეუძლებელი.

კიდევ ერთი გრძელვადიანი, მაგრამ არა უარსაყოფი მიზანია ტერიტორიული მთლიანობა. არა მგონია, საქართველოს რომელიმე ხელისუფლებამ ხელი აიღოს ამ მიზანზე. თუ ასეა, ეს დღევანდელ პოლიტიკაშიც უნდა აისახოს. გასაგებია, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია რაიმე ნაბიჯების გადადგმა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტას თუნდაც დაგვაახლოვებს. მაგრამ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებასთან კონტაქტის სრული განწყვეტა პრაქტიკულად იმ გზავნილის ტოლფასია, რომ ჩვენ შევეგუეთ ამ მხარეების სამუდამოდ დაკარგვას. რა თქმა უნდა, სეპარატისტული რეგიონების საზოგადოებასთან კონტაქტები მოხივად მომავალში რაიმე პოლიტიკურ შედეგებს არ მოიტანს; მაგრამ თუკი პრინციპულად ვინარჩუნებთ ამ რეგიონების შემოერთების ნებას, ამ კონტაქტების გაგრძელებასაც ალტერნატივა არა აქვს.

"ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში ნამდვილი სამოქალაქო სასამართლო გახდება"

მანია აბუსაძე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტით, რომელიც არსებულ სამართალწარმოებას რადიკალურად ცვლის და რომლის შესამე მოსმენით მიღებასაც პარლამენტი ამ გაზაფხულზე გეგმავს, ქართულ მართლმსაჯულებაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა მეიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტის შექმნაში. გარდა ამისა, იგი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელია და, შესაბამისად, მისი, როგორც კანონმემოქმედისა და მართლმსაჯულების წარმომადგენლის აზრი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოს ამუშავების თაობაზე ორმაგად საინტერესოა.



ზაზა მეიშვილი

- ბატონო ზაზა, როგორ შეაფასებდით ამ სახელს? საინტერესოა თქვენი აზრი, რას ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქართული მართლმსაჯულებისთვის?
- ეს ინსტიტუტი არის საზოგადოების მოწვევა, საზოგადოების ჩართვა მართლმსაჯულების განხორციელებაში. სამოქალაქო საზოგადოება უფრო მეტად იქნება ჩართული, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მართლმსაჯულების პროცესში. ეს კარგია მართლმსაჯულებისთვის, რადგან პირდაპირი კავშირი ექნება საზოგადოებასთან და, პირიქით, ძალიან კარგია საზოგადოებისთვის, რომლის სამართლებრივი კულტურაც უფრო მეტად განვითარდება - საზოგადოება უფრო მეტად ინფორმირებული გახდება მისი უფლებებისა და მოვალეობების თაობა-

ზე, რაც მათი მართლმსაჯულების დონეს უფრო მეტად განავითარებს და სრულყოფილს გახდის. დემოკრატიის ისეთი ფორმა, რასაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გულისხმობს, ჩემი აზრით, მისაღებია საზოგადოებისთვის, სასამართლოსთვის და, პირველ რიგში, სახელმწიფოსთვის. მისი ამოქმედება მართლმსაჯულების კიდევ უფრო განვითარებისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯია, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს ძლიერებასთან.
- ამ ინსტიტუტს ჰყავს მომხრეები, მაგრამ ჰყავს მოწინააღმდეგეებიც. სკეპტიკურად განწყობილთა განცხადებით, ეს ინსტიტუტი საქართველოში ვერ გაამართლებს, რადგან, მათი თქმით, საქართველოში ნაცნობ-მეგობრის ინსტიტუტი წარმატებულად მოქმედებს, რომ არსებული სოციალური პრობლემების ფონზე

ადვილია ნაფიცი მსაჯულის მოსყიდვა და ა.შ. საინტერესოა თქვენი აზრი, როგორ ფიქრობთ, გაამართლებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში?
- ზოგადად, ამ ინსტიტუტისადმი კრიტიკულად განწყობილები შესაძლოა კიდევ ბევრს სხვა რამესაც ამბობდნენ, მაგრამ, მართალი გითხრათ, მე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაზე ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, ხალხი ბრძენია და როცა საზოგადოების წარმომადგენლები - ნაფიც მსაჯულთა ფიქრის წევრები ვერდიქტის გამოსატანად სათათბირო ოთახში გავლენ და ერთმანეთის პირისპირ დარჩებიან, საოცრად დიდ პასუხისმგებლობას იგრძნობენ, რადგან მათ ვერდიქტი უნდა გამოიტანონ ხალხის სახელით - ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობა და დარწმუნებული ვარ, ეს განცდა

გაუჩნდება თითოეულ ნაფიც მსაჯულს. აქედან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი იქნებიან ობიექტურები, იხელმძღვანელებენ მორალური პრინციპებით და არც ერთ შემთხვევაში ვერ და არ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც შეიძლება საზოგადოება დაზარალდეს. შემოიღია თქმა, რომ საქართველოში არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება და ამ ღირსეული საზოგადოების წარმომადგენლები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმატებულად ამუშავებენ.
- თუმცა, მოსაზრება, რომ საზოგადოება არ არის მზად ამ ინსტიტუტისთვის საკმაოდ სერიოზულია განიხილება.
- ისევ იგივეს გიპასუხებთ - მე არ ვფიქრობ, რომ საქართველოს მოსახლეობა ამ სახლისთვის მზად არ არის. ამასთან დაკავშირებით, ერთი რამ მინდა ვთქვა: თუ არ ავამუშავებთ ამ ინსტიტუტს, თუ არ გამოვცდით საკუთარ ძალებს, ვერასდროს გავიგებთ ვართ თუ არა მზად. მე არ ვარ ქართულ საზოგადოებაზე ცუდი აზრის და არ ვფიქრობ, რომ საზოგადოება არ არის მზად ამ დემოკრატიული ინსტიტუტისთვის. არ ვფიქრობ, რომ საზოგადოების წარმომადგენლები - ნაფიც მსაჯულები ვერ განახორციელებენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას. არ ვფიქრობ, რომ ანგარებით ხელს მოითხოვენ ან გულგრილად მოეკიდებიან ამ ძალზე მნიშვნელოვან საქმეს, არ ვფიქრობ, რომ ისინი ობიექტურები და სამართლიანები ვერ იქნებიან. ამ ინსტიტუტისადმი კრიტიკულად განწყობილთა ამ მოსაზრებებს კატეგორიულად არ ვეთანხმები და დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ სამოქალაქო საზოგადოება უმრავლეს შემთხვევაში იმოქმედებს სწორად. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში ნამდვილი სამოქალაქო სასამართლო გახდება - ქართული საზოგადოება ამისთვის მზად არის და შეძლებს.

დეპუტატმა შიმშილობა შეწყვიტა
აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ჯემალ საჯიამ შიმშილობა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის, მეუფე დანიელისა და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის მალხაზ აქიშბაის ვიზიტის შემდეგ შეწყვიტა.
აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი წყნეთში მდებარე საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლების გამო ერთ კვირაზე მეტ ხანს შიმშილობდა და საცხოვრებელი ფართის წართმევის შემთხვევაში, თვითმკვლელობით იმუქრებოდა. ექიმების დიაგნოზით, მოშიშპილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული იყო და შიმშილობას თუ არ შეწყვეტდა, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.
როგორც აფხაზეთის მედიაცენტრის ხელმძღვანელი რაულ ქირია აცხადებს, მალხაზ აქიშბაია ნუგზარ საჯიას საცხოვრებელი ფართის შენარჩუნებასთან დაკავშირებით დახმარებას დაჰპირდა და შესაბამის ორგანოებს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა.
აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ნუგზარ საჯიას დაჰპირდა, რომ მას თავისი საცხოვრებელი ფართიდან აღარ გამოასახლებდნენ, რის შემდეგაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შიმშილობა შეწყვიტა.
"აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ წყნეთში მდებარე, საჯიას საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით, შესაბამის ორგანოებს უკვე მიმართა და ეს საკითხი განხილვის პროცესშია," - აცხადებს რაულ ქირია. **მედიანიუსი**

"ნაფტოგაზის" შენობაში ნიღბიანი პირები შევიდნენ
რამდენიმე ათეული ნიღბიანი, შეიარაღებული პირი შეიჭრა კიევიში, "ნაფტოგაზის" შენობაში. კომპანიის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პირები "ნაფტოგაზის" ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის იგორ დიდენკოს სამუშაო კაბინეტში განთავსდნენ.
შეიარაღებულ პირებს არანაირი ოფიციალური საბუთი კომპანიაში შესვლის ნებართვით არ წარუდგინათ. "მათ შენობაში უბრალოდ ლობზე გადმოხტომის შედეგად შემოაღწიეს", განაცხადა პრესსამსახურის წარმომადგენელმა.
გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა საქმე აღძრა 6.3 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის ბუნებრივი აირის მოპარვის ფაქტზე, რაც თანხებში დაახლოებით, 7.4 მილიარდი გრივენს უტოლდება. უსაფრთხოების სამსახურის ვარაუდით აღნიშნულ დანაშაულში ლომის წილილი კომპანია "ნაფტოგაზის" ხელმძღვანელებს მიუძღვით. ოფისში ნიღბიანთა შესვლაც სავარაუდოდ, ამას უკავშირდება. **მედიანიუსი**
დაკავება შპონაჟისა და სამშობლოს ღალატის ბრალდებით
რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დააკავეს ბულგარეთის მოქალაქე და რუმინეთის თავდაცვის უწყების ოფიცერი, რომელთაც ბრალად ედებათ თანამშრომლობა რუსეთისა და უკრაინის სპეცცამსახურებთან.
ბულგარეთის მოქალაქეს შპონაჟის ბრალდება აქვს წაყენებული, ხოლო რუმინელ ოფიცერს - სამშობლოს ღალატის. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკავებულებს 29-დღიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდათ.
6 მარტს სასამართლო დაკავებულთა სააპელაციო საჩივარს განიხილავს, რომლითაც დაკავებულები გაუსვლელობის ხელნერილით განთავისუფლებას მოითხოვენ.
რუმინული მედიის ინფორმაციით, ფლორინელ აკიმმა (რუმინელი ოფიცერი) უკვე აღიარა, რომ ყიდდა რუმინეთის სამხედრო საიდუმლოებებს და მათი "წონის" მიხედვით იღებდა გასამარჯულოს 1000 აშშ დოლარს ან ნაკლებ თანხას.
რუმინეთის სპეცსამსახურების რუმინელი ოფიცერი ინფორმაცია აწვდიდა ბულგარეთის მოქალაქეს, რომელიც რთული სადაზვერუო ქსელის მეშვეობით მათ ნატოს არანეკრ სახელმწიფოს გადასცემდა.
საუბარია კავშირის სამხედრო სისტემებზე, რადარების სისტემებზე, ნატოს წევრების რუკებზე, სქემებსა და სამხედრო ტექნიკის მონაცემებზე, რომლებსაც თავად აკიმი 2000 წლიდან 2007 წლამდე სამსახურებრივ კომპიუტერებიდან იწვრდა.
დაკავებული ბულგარეთის მოქალაქე უარყოფს კავშირს შპონაჟთან და აღიარებს, რომ ის მხოლოდ იცნობდა ერთ-ერთ უკრაინელ ჩინოვნიკს, რომელიც სამხედრო ინფორმაციების მიღებით იყო დაინტერესებული.
ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქე პეტერ ზოკულოვს ბუქარესტში ჰქონდა საკუთარი კონსალტინგური კომპანია, მოქმედებდა საკუთარი ინიციატივით და ბულგარეთის ხელისუფლებასთან არავითარ კავშირში არ იმყოფებოდა.
ამავდროულად, რუმინეთის დაზვერვის სამსახური გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ აკონკრეტებს დაკავებულთა უშუალო კავშირს რუსეთთან და უკრაინასთან. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნაკლები ბავშვი ციხეში

სასჯელადსრულების და პრობაციის სისტემის რეფორმის მიზანი

დღეს "შერატონ მეტეხი პალასის" საკონფერენციო დარბაზ "ლილეში" პარტნიორული პროექტის - "სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმირება არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის საქართველოში" - პრეზენტაცია გაიმართება.
შეხვედრას დაესწრებიან სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში პერ ეკლუნდი, გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ჯოვანა ბარბერისი.
ორწლიან პროექტს, ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს მთავრო-

ბა და გაერო-ს ბავშვთა ფონდი ახორციელებენ.
პროექტის მიზანია არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში სასჯელადსრულებისა და პრობაციის მექანიზმის გაუმჯობესება და საქართველოში რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე დაფუძნებული სისტემის შექმნა.
"არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმირება გაერო-ს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. რეფორმის მიზანია, შეიქმნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას. რეფორმა გარანტია უნ-

და იყოს იმისა, რომ არ მოხდეს ბავშვების კრიმინალიზაცია, არსებობდეს პრევენციის პროგრამები, სასჯელის ალტერნატიული მექანიზმები და არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალს გავლელი ჰქონდეს შესაბამისი მომზადება," - აცხადებს გაერო-ს ბავშვთა ფონდი.
გაერო-ს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, 2008 წლის ბოლოსთვის საქართველოში თავისუფლებადაკვეთილ არასრულწლოვანთა რაოდენობა შეადგენდა 277-ს, რომელთაგან 179 იყო მსჯავრდებული. 2008 წლის განმავლობაში ამინსტია შეეხო სამ არასრულწლოვანს, 21 - შეინიყაღეს, ხოლო პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდა ოთხი არასრულწლოვანი.
უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ

დანაშაულთა შორის ლიდერობს ქურდობა, რასაც მოსდევს ძარცვა და ყაჩაღობა. განზრახ მკვლელობისთვის 2008 წელს გასამართლებულია 31 არასრულწლოვანი, ნარკოტიკული დანაშაულისთვის კი - 38.
წინა წლებთან შედარებით, შეიცვალა მსჯავრდებულთა ასაკიც. მართალია, ძირითადად, დანაშაული ჩადენილია იმ არასრულწლოვანთა მიერ, რომელთა ასაკიც არის 14-15 წელი, თუმცა, გასულ წელს საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, უკვე გაჩნდნენ მსჯავრდებულები, რომელთა ასაკიც 12-13 წელია. სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, ამ ასაკის ერთი მოზარდი სასამართლომ ყაჩაღობისთვის, ერთიც კი განზრახ მკვლელობისთვის გაასამართლა.
საკუთარი ინფორმაცია

ექსპრეზიდენტის საცხოვრებელი სახლი ყუმბარმტყორცნიდან დაცხრილეს

ინგუშეთში ექსპრეზიდენტ მურატ ზიაზიკოვის საცხოვრებელი სახლი ყუმბარმტყორცნიდან დაცხრილეს.

"გასულ ღამეს, საღამოს ცხრა საათზე ნაზრანში, ზიაზიკოვის საცხოვრებელ სახლს ახალგაზრდა მამაკაცი თეთრი ფერის ვაზ 21-07 მარკის ავტომანქანით მიუახლოვდა და ყუმბარმტყორცნიდან რამდენჯერმე ესროლა. ზიაზიკოვის მცველებმა თავდასხმელს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ავტომანქანა აფეთქდა," - აცხადებენ ნაზრანელი სამართალდამცველები. ინციდენტის შედეგად მხოლოდ თავდასხმელი დაიღუპა. ექსპრეზიდენტ ზიაზიკოვი შემთხვევის დროს მოსკოვში იმყოფებოდა.

მურატ ზიაზიკოვი ინგუშეთის პრეზიდენტი 2002-2008 წლებში იყო. გასული წლის ოქტომბერში ზიაზიკოვს უფლებამოსილება რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განკარგულებით, ვადაზე ადრე, მას შემდეგ შეუნყდა, რაც გადადგომის შესახებ თავად დაწერა განცხადება. ზიაზიკოვი იუნჩუს-ბეკ ევკუროვმა შეცვალა. მურატ ზიაზიკოვზე თავდასხმა 2004 წლის აპრილშიც განხორციელდა. გასული წლის 10 სექტემბერს კი ნაზრანში მისი ნათესავი ბეკზან ზიაზიკოვი მოკლეს, რომელიც "ინგუშეთის ტერორისტების" ხელმძღვანელი იყო.

"ნაზრანის მცხოვრები რუსტამ უჟაკოვი, რომელიც ინგუშეთის ექსპრეზიდენტზე მურატ ზიაზიკოვზე თავდასხმას ცდილობდა, დანაშაულის წარმატებით განხორციელების შემდეგ მოსკოვში მიმალვას აპირებდა," - აცხადებს რესპუბლიკის პროკურორი იური ტურგიგინი.

მისივე თქმით, უჟაკოვის ავტომანქანაში პისტოლეტი, დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა, რამდენიმე მობილური ტელეფონი, სიმ-კარტა, ელექტრონული საათის მექანიზმი და ნაზრანი-მოსკოვის სამგზავრო ბილეთი აღმოაჩინეს. ტურიგინის განცხადებით, უჟაკოვს სავარაუდოდ, თანამონაწილეც ჰყავდა, რომელსაც ამჟამად ეძებენ. პირველი

ბიზნესმენის კუთვნილი კომპანიის ქონება გაიყიდება

შპს "ქართული პროდუქტის" დაყვადებულ ქონებას, რომელიც ბიზნესმენ გორა ძასოხვს ეკუთვნის, გორის საგადასახადო ინსპექცია აუქციონზე გაყიდის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სარეალიზაციოდ "ქართული პროდუქტის" 89 დასახელების ქონება არის გამოცხადებული, რომელთა შორისაა არასასოფლო მიწა აგარაში, კომპანიის ძირითადი საამქრო, საწყობები, დამზარებ და სხვადასხვა დანიშნულების შენობები, წყლის მილები, წყალსაქაჩი.

აუქციონზე გატანილი ქონების საწყისი გასაყიდი ფასი 9 928 261 ლარს შეადგენს. ის ქარელის რაიონის დაბა აგარაში არის განთავსებული.

ღია აუქციონი 26 მარტის გორში, სამეფოს ქუჩა №50-ში გაიმართება.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი გორა ძასოხვი მოსკოვში იმყოფება. მედიანიუსი.

ბაღდადში ტერაქტი მოხდა

ტერაქტი განხორციელდა ბაღდადის ცენტრში, გერმანიის საელჩოსთან. ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, კამიკაძე-ტერორისტმა თავი პირდაპირ ქუჩაში საპატრულო პოლიციის მახლობლად აიფეთქა.

როგორც ამ დროისთვისაა ცნობილი, აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, თორმეტ ადამიანს კი სხვადასხვა სახის სიმძიმის დაზიანებები აღენიშნებათ. დაშავებულთაგან უმეტესობა სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენელია.

აღსანიშნავია, რომ აფეთქებები ერაყის დედაქალაქში იშვიათობას არ წარმოადგენს. კამიკაძე-ტერორისტებს მსგავსი დანაშაული ბოლო პერიოდის მანძილზე არაერთხელ ჩაუდენიათ, რასაც ხშირად ტრაგიკული შედეგები მოჰყვება. მედიანიუსი

მარლენ ნადირაძის ავჭალის კოლონიაში გადაყვანა მოითხოვეს

პოლიტიკურმა გავრთიანებმა "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული მომსახურების სამინისტროს მიმართა, რომ პარტიის წევრი მარლენ ნადირაძე ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გლდანის საპრობილიდან ავჭალის სასჯელალსრულების დაწესებულებაში გადაიყვანონ.

როგორც "მედიანიუსს" მოძრაობა "ერთიანი საქართველოსთვის" პრესამსახურში განუცხადეს, მარლენ ნადირაძეს გულის იშემიური დაავადება აქვს და ესაჭიროება დღის განმავლობაში სუფთა ჰაერზე გასვლა. გლდანის საპრობილი კი პატიმრები დახურულ ზონაში იმყოფებიან.

აქედან გამომდინარე, ნადირაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გლდანის საპრობილიდან დაუყოვნებლივ გადაყვანას მოითხოვს. მედიანიუსი

ადვოკატი მოსამართლის ასილბას ითხოვს

ნათია აბაშიძე

ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლალი ბესტავაშვილის შუამდგომლობით მიმართა და განსაჯელ დავით მანაშვილის საქმიდან მისი აცილება მოითხოვა. დავით მანაშვილი 16 წლის იყო, როცა სამართალდამცველებმა ბრალი დასდეს 2006 წლის 29 ივლისს, დაბა სურამში მომხდარ ირაკლი ჩაკვეტაძის მკვლელობაში. საქმეს იძიებდა შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის სამმართველო. როგორც ადვოკატი აცხადებს, საქმის ფაქტობრივად პირველივე საგამოძიებო მოქმედებიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება.

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ ხდება ყალბი მტკიცებულებების შექმნა, რის გამოც მან ერთხელ უკვე მიმართა მოსამართლეს, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია.

"20 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, ჩვენს მიერ წერილობით წარმოდგენილ განცხადებაში, მითითებული იყო ბრალდების მხრიდან მონეშებულ და ექსპერტებზე წარმოებულ ზეწოლაზე. კერძოდ, ცდილობენ ზოგიერთი მათგანი ცრუ ჩვენების მიცემაზე დაიყვინთონ, რაც ემსახურება მკვლელობის დაბრალების მიზნით ყალბი მტკიცებულებების შექმნას.

ჩვენ არ გვიკვირს ბრალდების მხარის წარმომადგენელთა

პოზიცია, რადგან იგი ყველანაირი მეთოდით ცდილობს, საკუთარი თავი გადაიჩინოს იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მათ უდანაშაულო ადამიანის უკანონო პატიმრობაში ყოფნისთვის დაეკისრებათ," - აცხადებს მოსამართლისადმი გაგზავნილ შუამდგომლობაში ადვოკატი და იქვე მითითებს, რომ მათი პრეტენზია მიმართულია მოსამართლე ლალი ბესტავაშვილისადმი.

"ჩვენი პრეტენზია ეხება მხოლოდ მოსამართლეს, რომელიც ხელს უწყობს ცრუ ჩვენებების დაკანონებას, რომელიც არღვევს სსსკ-ის 49-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, "მოსამართლე ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ არც ერთ მხარეს არ მიანიჭოს უპირატესობა". ასევე, აშკარად არღვევს სსსკ-ის მე-18 მუხლს, რომლის იმპერატიული მოთხოვნაა, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა," - ნათქვამია ადვოკატის შუამდგომლობაში.

გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, მოსამართლე ბესტავაშვილის მიკერძოებულობა მაშინ გამოჩნდა, როდესაც მან უარი განაცხადა, ერთ-ერთი ცრუ მონების - ხასიას ჩვენებების გადამონების მიზნით, ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაქმნაზე.

"ამით და ახალი ცრუ მონების - ვინმე კახა მორჩილაძის დაკითხვის შუამდგომლობის დაკ-

მაყოფილებით მოსამართლე აშკარად ცდილობს ხელი შეუწყოს ბრალდების მხარეს ისეთი მტკიცებულებების ხელოვნურად შექმნაში, რომელიც შემდგომში ასევე, ხელოვნურად უნდა გამოცხადდეს მკვლელობის მოტივად და იმის მტკიცებულებად, რომ თითქმის გარდაცვლილთან კონფლიქტში მყოფი სწორედ მანაშვილი იყო და არა ვინმე სხვა," - ნათქვამია ადვოკატის შუამდგომლობაში.

გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, თუ მოსამართლე იქნება მიუკერძოებელი, ისინი (დაცვის მხარე) შეძლებენ ცრუ მონებთა (ხასია-მორჩილაძის) ტანდემისა და მათი ცრუ ჩვენებებს გამოაშკარებებს.

"სასამართლოს მიმდინარეობის პერიოდში ჩვენი მხრიდან ცრუ მონებების კიდევ ბევრი სხვა ტყუილი იქნება გამჟღავნებული და მხილებული, მაგრამ ამ ყველაფერს ობიექტურად მხოლოდ მიუკერძოებელი მოსამართლე შეაფასებს. ვინაიდან, მოსამართლე ლალი ბესტავაშვილის ქმედებაში არის გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, სსსკ-ის 105-ე მუხლის I ნაწილის "ვ" პუნქტის საფუძველზე მოვითხოვთ მის აცილებას.

ყველა მტკიცებულება ფასდება ურთიერთშეჯერებით, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით და ეს ყველაფერი განაჩენში ასახება. თუმცა, ვიდრე საქმე ამ ეტაპამდე მივა, აუცილებელია ასეთი მტკიცებულებების წარმოჩენისათვის მხარეებს შეექმნათ თანაბარი პირობები, მოსამართლე ბესტავაშვილმა კი, სამწუხაროდ, თავისი გადანყვეტილებებით გამოამჟღავნა, რომ ის ხელს უწყობს ხელოვნურად შექმნილი ყალბი მტკიცებულებების დაკანონებას და დაცვის მხარეს ართმევს ასეთ მტკიცებულებათა გაბათილების შესაძლებლობას. სწორედ, ამიტომ ვთხოვთ მოსამართლის აცილების შესახებ," - ნათქვამია გელა ნიკოლაიშვილის შუამდგომლობაში, რომელიც მან უკვე გადასცა მოსამართლე ბესტავაშვილს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიმდინარეობისას გამოძიების მიერ დასახელებული მკვლელობის მოტივი ფაქტობრივად, გაბათილდა. სასამართლოზე დაკითხულმა მონებებმა გამოძიების ვერსია მკვლელობის მოტივის თაობაზე კატეგორიულად უარყვეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გუშინ პროცესზე დაკითხულმა ორმა მონებმა, რომლებიც მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდნენ, განაცხადეს, რომ დავით მანაშვილი შემთხვევის ადგილას არ ყოფილა. მონებებმა განაცხადეს, რომ მათ თავდაპირველად მანაშვილი რეალურად არ ამოუცვნიათ, ნდობით მოაწერეს ოქმს ხელი, ისე, რომ არც ნათქვამია.

საქმე ისაა, რომ გამოძიებულმა მკვლელობის პირველივე დღეებში ჩაატარა ამოცნობის პროცედურა და მონებებს იმ დროისთვის 16 წლის ეჭვმიტანილი იმ სურათზე ამოცნობინა, რომელიც დავით მანაშვილს 12 წლის ასაკში ჰქონდა გადაღებული. დაკავების შემდეგ, როცა დავით მანაშვილი უკვე 18 წლის იყო, გამოძიებულს აღარ გასჩენია სურვილი ამოცნობის პროცედურა რეალურად ჩატარებინა.



გენდერული კვირეული IV

2009 წლის 1 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით საქართველოში უკვე მეოთხედ აღინიშნება გენდერული კვირეული, რომლის ფარგლებში გაიმართება შემდეგი ღონისძიებები:

- **თბილისი, 5 მარტი**
საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრების სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულთა გამოვლენა და ოფიციალური დაჯილდოება.
- **გორი, 5 მარტი**
გორის გენდერული თანასწორობის რესურს ცენტრში გაიმართება მრგვალი მაგიდა „გენდერული თანასწორობის რესურს ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის პერსპექტივები“.
- **თბილისი, 6 მარტი**
ქალისა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების გამოვლენა. გამოვლენის მსვლელობისას, პარალელურად გაიმართება ფოტო გამოვლენა, ვიდეო ჩვენებები და მრგვალი მაგიდები.
- **თბილისი, 7 მარტი**
საქართველოს მორბენალ ქალთა კლუბის მიერ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი 6 კილომეტრიანი მარათონი კუს ტბაზე.
- **თბილისი, 10 მარტი**
გაეროს ქალთა ფონდი წარმოგიდგენთ 2008/2009 წლების ანგარიშს მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის შესახებ „ვინ პასუხობს ქალებს? გენდერი და ანგარიშგაღებულება“, პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება ფილმის ჩვენება.
- **თბილისი, 11 მარტი**
გენდერული ბალანსის მქონე საუკეთესო ბიზნეს კომპანიების გამოვლენა და დაჯილდოება.

რიგით მეოთხე გენდერული კვირეულის ორგანიზატორები არიან გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი „გენდერი და პოლიტიკა“ და გაეროს მოსახლეობის ფონდის „დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში“ პროექტი. კვირეულის ღონისძიებების მხარდამჭერია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული საკითხების საკონსულტაციო საბჭო, გორის გენდერული თანასწორობის რესურს ცენტრი, ჯი-ეს-აის კვლევისა და სწავლების ინსტიტუტის „ქალთა ჯანმრთელობის პროგრამა საქართველოში“ და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ღონისძიებების შესახებ დარეკეთ: 923662

უკრაინის მმართველი კოალიცია საფრთხეშია

რა მოჰყვება ოგრიზკოს გადაყენებას?

ივანე პილაკაძე

3 მარტს, უკრაინის უმაღლესმა რადამ, 250 ხმით (საჭირო იყო 226 მომხრე), უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ოგრიზკო გადააყენა. მასზე დიდი ხანია უკრაინის პრორუსული ოპოზიცია კბილებს ილესავდა, მაგრამ მინისტრს ოპოზიცია ვერ გადააყენებდა, თუ ამ გადაწყვეტილებას უმრავლესობამ ან ამ უმრავლესობის ნაწილმა არ დაუჭირა მხარი. ამ შემთხვევაშიც საინტერესო სწორედ ეს არის - ოგრიზკო მხოლოდ პიროვნულად გაწირეს თუ მის გადადგომას მმართველ კოალიციაში პოლიტიკური პრობლემებიც მოჰყვება.

ოგრიზკოს გადაყენება ყველაზე მსხვილია, "რეგიონების პარტიის" საპარლამენტო ფრაქციამ მოითხოვა. ფორმალურ მიზეზად შავ ზღვაში კუნძულ ზმენის მიმდებარე კონტინენტური შეღვის საკითხი დასახელდა, რომელიც გაეროს საერთაშორისო სასამართლომ განიხილა. უკრაინის პოზიცია სრულად არ დაკმაყოფილდა, თუმცა მთლიანობაში, მით უმეტეს, გრძელვადიან პერსპექტივაში უკრაინა მინც მოგებული რჩება. ექსპერტების აზრით, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ რეგიონების პოზიციებსაც ითვალისწინებს და საშუალებას იძლევა, ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს კონტინენტური შეღვის კუთვნილების საკითხი.

ოპოზიციისთვის მთავარი სხვა ფაქტორი იყო. ოგრიზკოს არ პატიობდნენ მკვეთრად ანტირუსულ პოლიტიკას, მეზობელი სახელმწიფოს ელჩ ვიქტორ ჩერნომირდინის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადების მცდელობას ამ უკანასკნელის არაკორექტული გამონათქვამების გამო და სხვა. ოგრიზკოს გადაყენებას ხმა მისცა "რეგიონების პარტიის" 174 წევრმა, "კომუნისტების" ფრაქციის 27 წევრმა და... "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" თითქმის მესამედმა - 49 დეპუტატმა. გადაწყვეტილებისთვის მხარი არ დაუჭირა მმართველი კოალიციის ორი ფრაქციის - პრეზიდენტის მომხრე "ნაშა უკრაინა-სამოთბორონას" და რადას თავმჯდომარე ვლადიმერ ლიტვინის ბლოკის არც ერთ დეპუტატს.

ექსპერტებისა და პოლიტიკოსების აზრი საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენებაზე ძირითადად ორად გაიყო. თითქმის არ დარჩენილა პოლიტიკური ძალა და მეტ-ნაკლებად გავლენიანი პოლიტიკოსი, ამ თემაზე აზრი რომ არ გამოეთქვა. ყველაზე რადიკალურები, ცხადია, "ნაშა უკრაინას" წევრები და მათი მომხრე ექსპერტები იყვნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში ძლიერდება პრორუსული ორიენტაცია, ქვეყნის პარლამენტის 250 (450-დან) წევრი მზად არის, შეასრულოს რუსეთის შეკვეთა, იულია ტიმოშენკოს ბლოკი ამ შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით არღვევს კოალიციას და სხვა. "რეგიონების პარტიისა"



ვლადიმერ ოგრიზკოს გადარჩენა ვერც პრეზიდენტმა და ვერც თანაპარტიელებმა ვერ შეძლეს.

და "კომუნისტების" პოზიცია ცალსახაა და მისი განხილვა არც არავის უცდია. "ნაშა უკრაინა" არ მალავს წყენას და თითქმის პირდაპირ სდებს ბრალს პრემიერ-მინისტრს.

თავისი აზრი გამოხატეს როგორც იულია ტიმოშენკომ, ასევე პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომაც (ამ უკანასკნელმა პრეს-მდივნის საშუალებით). პრემიერ-მინისტრმა არ დაშალა თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ, თუმცა უარყო მინისტრის გადაყენებაში თავისი მონაწილეობა. "როგორც მინისტრი, ოგრიზკო მე რადიკალურად არ მიაძლევა ხელს. ის ცუდი პროფესიონალია, სისტემატურად აწყობდა პროვოკაციებს მთავრობის წინააღმდეგ. ფრაქციის მთელ შემადგენლობას - 155 დეპუტატს უნდოდა მის წინააღმდეგ ხმა მიეცა, მაგრამ მე ვთხოვე, არ გაერთილებინათ სიტუაცია და არ დაეჭიროათ მხარი მისი გადაყენებისთვის. თუმცა ფრაქციის ნაწილმა ემოციები ვერ დაიცხრო და დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენ დემოკრატიული ფრაქცია გვაქვს," - განაცხადა ტიმოშენკომ. მან დასძინა, რომ ამ საკითხზე იუშჩენკოსთან შეთანხმება არ ჰქონია და შესაბამისად არც არაფერი დაურღვევია.

იუშჩენკოს მომხრეებს არ სჯერათ ტიმოშენკოს ფრაქციის "დემოკრატიულობის". ისინი მოითხოვენ, რომ პრემიერის ფრაქციამ, თუ შეცდომა მოუვიდა, თვითონ შემოიტანოს საკითხი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და მთელი შემადგენლობით უზრუნველყონ ოგრიზკოს პოსტზე დაბრუნება. ორგანიზაცია "ნაროდნაია სამოთბორონას" წარმომადგენლების აზრით, პრემიერის არაგულწრფელობაზე მეტყველებს

ის ფაქტიც, რომ ოგრიზკოს გადადგომას მხარი დაუჭირა ტიმოშენკოს "ძალდევით ერთგულმა" რამდენიმე დეპუტატმაც. "ნაროდნაია სამოთბორონაში" მიაჩნიათ, რომ არჩევნების წინ პრემიერ-მინისტრი პოზიციებს იმყარებს და საკუთარი პერსონის გარშემო მთავრობის კონსოლიდაციას ცდილობს. პრეზიდენტის ფრაქციის წევრები მოითხოვენ კოალიციის საბჭოს სასწრაფო შეკრებას და საქმის გარჩევას პირველი პირების - პრემიერ ტიმოშენკოსა და უმაღლესი რადას თავმჯდომარე ვლადიმერ ლიტვინის მონაწილეობით (ზოგი ამ უკანასკნელსაც ორმაგ თამაშში ადანაშაულებს).

ექსპერტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ტიმოშენკოს ბლოკის "გაურკვეველი" გადაწყვეტილება ალბათ მმართველი კოალიციის დაშლას არ გამოიწვევს, მაგრამ მყიფე უმრავლესობაში საკმაოდ გაართულებს მდგომარეობას. პატარა ჯგუფის დემარშიც კი (მათ აქვთ 50 პროცენტი პლუს ორი მანდატი) საფრთხეს უქმნის "ნარინჯისფერი კოალიციის" არსებობას. ალბათ "ნაშა უკრაინა" ოგრიზკოს სახით დანაკარგს სუსტ პოზიციების გამო შეეგუება და მარტო იმიტომ, რომ ტიმოშენკო მოცილოს, განზე არ გადგება. ამ შემთხვევაში ისინი იძულებულნი იქნებიან, იანუკოვიჩის "დაკრულზე იცეკვონ". ამზე მეტყველებს თვით იუშჩენკოს პოზიციაც. იგი ოგრიზკოს გადაყენების შესახებ უმაღლესი რადას გადაწყვეტილებას უდროს და დაუსაბუთებელს უწოდებს. "ქვეყნის შიგნით ეკონომიკური კრიზისის გამწვავების პირობებში აბსოლუტურად უადგილოა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მიმართულების დასუსტება და დაძაბულობის ახალი წყაროს შექმნა. ეს, ქმედითი სისტემური მუშაობის

ნაცვლად, მორიგი თანამდებობრივი ვაჭრობის პროვოცირებას ახდენს," - გაახმოვანა იუშჩენკოს განცხადება პრეზიდენტის პრესმდივანმა ირინა ვანნიკოვამ. მანვე დასძინა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურაზე გადაწყვეტილება სახელმწიფოს ხელმძღვანელი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების ჩარჩოებში მიიღებს.

გარედან ისე ჩანს, რომ პრეზიდენტის მომხრე ფრაქციის ასეთი "განწმამების" ერთ-ერთი მიზეზი მათი უძღურების და უპერსპექტივობის განცდაც არის. ოგრიზკოს სკანდალს საეჭვოდ დაემთხვა ინფორმაცია მის შესახებ, რომ საპრეზიდენტო პარტია "ნაშა უკრაინის" მთავარ ოფისს გუშინ ელექტროენერჯის მინოტების და გათბობა გაუთიშეს. პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კი ყველა თანამშრომელი, რომელთაც ორი თვის ხელფასი არ აუღიათ, გაურკვეველი ვადით სახლებში გაუშვა. დაფინანსების საკითხის მოგვარების შესახებ პარტიის ხელმძღვანელობა კონკრეტულ პასუხს ვერ იძლევა და უბრალოდ იმედს გამოთქვამს, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება. პარტიის ფინანსური საქმიანობის თაობაზე არაფერი იციან პარლამენტის წევრებმაც "ნაშა უკრაინადან". მათ ჟურნალისტებს ურჩიეს, ამ კითხვით პარტიის თავმჯდომარე ვიქტორ იუშჩენკოსთვის მიემართათ(!). ნუთუ პრეზიდენტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეორე ვადისთვის აღარ იბრძოლებს? მაშინ ვის მხარეზე აღმოჩნდება მისი ყოფილი მომხრეების (ამომრჩევლების) უმრავლესობა, ძნელი მისახვედრი არ არის. უბრალოდ, იქნება თუ არა ეს ნახევარზე მეტი, უკრაინის რეალობიდან გამომდინარე, წინასწარ ვერავინ იტყვის.

ზაგრებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრები შეიკრიბებიან

6 მარტს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრები არაოფიციალურ შეხვედრაზე შეიკრიბებიან. შეხვედრის მთავარი თემა რეგიონში ნატო-სთან დაკავშირებული საკითხები იქნება. თავდაცვის მინისტრები განიხილავენ რეგიონული უსაფრთხოებისა და ადრიატიკის ქარტიის ფარგლებში ახალი რეგიონული თანამშრომლობის საკითხებს. შეხვედრაში, რომელსაც ხორვატიის თავდაცვის მინისტრი წარუძღვება, მონაწილეობას მიიღებენ ალბანეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, უნგრეთის, თურქეთის, მაკედონიის, რუმინეთის, სერბეთის, სლოვენიის, იტალიისა და ნატო-ს წარმომადგენლები. ადრიატიკის ქარტიას აშშ-სთან ხელი 2003 წლის მაისში მოეწერა, მისი მიზანი იყო ნატო-ში ალბანეთის, ხორვატიისა და მაკედონიის დაქარბული მიღება. ბოსნია-ჰერცეგოვინა და მონტენეგრო ქარტიას 2008 წელს შეუერთდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნატო რუსეთთან ურთიერთობას აღადგენს

რუსული მედია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არსებულ დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ნატო რუსეთის ფედერაციასთან ექვსი თვის წინ შეწყვეტილი ურთიერთობების ოფიციალური აღდგენისთვის მზადაა. მეტიც, მათ მიერვე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს ურთიერთობები "ოფიციალურად ხუთშაბათს" აღდგება და შესაბამისი განცხადებაც გაკეთდება. აღსანიშნავია, რომ რუსული მედია ექვსი თვის წინ ურთიერთობების შეწყვეტის საბაზად "რუსეთ-საქართველოს" ომს ასახელებს და არა "ქართულ-ოსურ კონფლიქტს", როგორც მანამდე მოიხსენიებდა. მათივე ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილების შესახებ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არსებულმა დიპლომატიურმა წყაროებმა განცხადება გუშინ გააკეთეს. ნატო-რუსეთის ურთიერთობების აღდგენის გადაწყვეტილება ნატო-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში გამართულ სხდომაზე მიიღეს. **მედიანიუსი**

ვიქტორ იუშჩენკო: საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენება უდროო და უსაფუძვლოა

საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენების შესახებ უკრაინის უმაღლესი რადას გადაწყვეტილება არადროული და უსაფუძვლოა. ასეთია უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს პოზიცია, რის შესახებაც სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახურის უფროსმა ირინა ვანიკოვამ განაცხადა. "ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მიმართულების დასუსტება და დაძაბულობა ახალი წყაროს წარმოქმნა აბსოლუტურად უდროოა," - განაცხადა პრესმდივანმა. მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილებით პარლამენტმა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი შეარყია და სისტემური ქმედითი საქმიანობის ნაცვლად თანამდებობრივი ვაჭრობის მორიგ პროვოცირებას მიმართა. ამასთან, პრესმდივნის განცხადებით, საპარლამენტო ფრაქციამ "იულია ტიმოშენკოს ბლოკმა" დააინდოვა შეთანხმება ერთობლივი მოქმედებების შესახებ, რომელიც მიღებული იყო პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, უმაღლესი რადას თავმჯდომარესა და ქვეყნის ეროვნული ბანკის პირველ პირს შორის. გარდა ამისა, როგორც ვანიკოვამ აღნიშნა, ვიქტორ იუშჩენკო საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულებების ფარგლებში უახლოეს პერიოდში წარადგენს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურას. ცნობისთვის - უმაღლესი რადამ რამდენიმე დღის წინ კენჭი უყარა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ ვლადიმერ ოგრიზკოს გადაყენებას. დადგენილებს პროექტს 250-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მათ შორის 174-მა დეპუტატმა - ფრაქციიდან "რეგიონების პარტია", 49 დეპუტატმა - "იულია ტიმოშენკოს ბლოკიდან" და 27 დეპუტატმა - "უკრაინის კომუნისტური პარტიიდან". **ჯი-ეიჩ-ენი**

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ესპანურ-რუსული ურთიერთობები უნმანურად მოიხსენია

საინფორმაციო სააგენტო "ფრანს პრესის" ინფორმაციით, ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხოსე-ლოპეს როდრიგეს ზაპატერომ რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე ესპანურ-რუსული ურთიერთობები შეცდომით უნმანურად მოიხსენია. კერძოდ, ესპანეთის პრემიერი ესპანეთსა და რუსეთს შორის ტურისტული კავშირების გაღრმავებაზე საუბრობდა და "მხარდაჭერის" მაგივრად წამოსცდა სიტყვა, რომელიც სქესობრივ აქტს აღნიშნავს. ზაპატერო სულ ერთ წამს შეჩერდა, მერე კი გამოსვლა გააგრძელა. საგარეუდოდ, მედვედევს თარჯიმანმა ზემოხსენებული ფრაზა არ გადაუთარგმნა. **მედიანიუსი**

ჩეჩენი ქალები პარიათის კანონის მსხვერპლნი ხდებიან

ჩეჩენეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რამზან კადიროვი ქვეყანაში პარიათის კანონების დამკვიდრებას ცდილობს, რაც ისედაც უფლებო ქალების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ჩეჩენეთში არსებული ვითარება უცხოური მედია ხშირად ეხმაურება. პარიათის კანონებსა და ქალების უფლებობას ამერიკულმა გამოცემამ "ვაშინგტონ ტაიმსმა" ვრცელი სტატია მიუძღვნა.

დღის ლოცვების შემდეგ მეჩეთიდან გამოსული ჩეჩენეთის პრეზიდენტი - ხარით კისრის მქონე მამაკაცი შემაშფოთებელი ცივისსხლიანობით განმარტავს, თუ რატომ დაიმსახურა სიკვდილი შვიდმა ახალგაზრდა ქალმა, რომლებიც თავში სროლით დახოცეს. რამზან კადიროვის სიტყვებით, ეს ქალები, რომელთა გვამებიც გზის პირას დაყარეს, ამორალურად იქცეოდნენ და ნათესავებმა ისინი ოჯახის ღირსების დასაცავად სამართლიანად დასაჯეს. "თუ ქალი ერთობა, თუ ქალთან მამაკაცი ერთობა, მათ ორივეს კლავენ," - განმარტა კადიროვიმ ჟურნალისტებთან საუბრისას.

32 წლის პრეზიდენტი, ყოფილი სავლეთ მეტაური, ისლამისტურ ფასეულობათა გასაძლიერებლად და ტრადიციული წეს-ჩვეულებების გასამყარებლად საგანგებო კამპანიას ატარებს. ამავდროულად ის ებრძვის ისლამისტ რადიკალ სუბკულტურის გავრცელებას და საკუთარი ძალაუფლების გაზრდას ცდილობს. ამ ყველაფრის შედეგი კი, ექსპერტთა აზრით, დიქტატურის ჩამოყალიბებაა, რომელიც რუსულ კანონებსაც არ ემორჩილება.

რუსეთში ფიქრობენ, რომ კადიროვის მცდელობა, შექმნას ისლამური საზოგადოება, წინააღმდეგობაში მოდის ფედერალურ კონსტიტუციასთან, რომელიც ქალებს თანასწორ უფლებიანობის გარანტიას აძლევს და ეკლესიას სახელმწიფოსგან გამოყოფს. თუმცა, ამის მიუხედავად, კრემლი კადიროვს აქტიურად უჭერს მხარს და მიიჩნევს, რომ კადიროვი მთავარ როლს თამაშობს ჩეჩენური სეპარატიზმის დამარცხებაში, რაც პრეზიდენტს უფლებას აძლევს, ქვეყნის მოსახლეობას თავისი ნება მოახვიოს თავზე.

"კადიროვი ჩეჩენეთში ადგილობრივ ტრადიციებს შეგნებულად აძლიერებს, რადგან ეს მას რესპუბლიკაში აბსოლუტურ ძალაუფლებას აძლევს," - აღნიშნავს მოსკოველი პოლიტოლოგი იულია ლატინინა. კადიროვი კი, როგორც ჩანს, თავის პოზიციას აბსოლუტურად დარწმუნებულია. "ვერაინ დაგვიშლის ვიყო მუსლიმანები, თუ ვინმე იტყვის, რომ მუსლიმანი არ უნდა ვიყო, ის ჩემი მტერი იქნება," - აცხადებს კადიროვი.

ალბათ ბევრი ვერ გაბედავს ღიად



გამოიწვიოს პრეზიდენტი, რომელიც რუსეთის სამხრეთით მდებარე ამ ქვეყანას მართავს. ჩეჩენეთი მხოლოდ ახლა იწყებს აღდგენას იმ ნანგრევებიდან, რომელიც მას გასული 15 წლის განმავლობაში მომხდარი ორი ომისგან შემკვიდრებით დარჩა. რუსულ ჯარებსა და ისლამისტ სუბკულტურის შორის მომხდარ შეტაკებებში, რომლებსაც თან ახლდა ორივე მხრიდან მხეცური ქმედებები, ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა, მძვილობიანი მოსახლეობა კი ნამდვილი ტერორის ქვეშ აღმოჩნდა.

კადიროვი ქალს ქმრის საკუთრებად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ მისი მთავარი დანიშნულება ბავშვების გაჩენაა. ის მამაკაცებს მრავალკოლიანობისაკენ მოუწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში პოლიგამია კანონით იკრძალება. ქალები და გოგონები ვალდებული არიან, სკოლებში, უნივერსიტეტსა და ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში თავსაფრებით იარონ. ზოგი ქალი კადიროვის მითითებებს მხარს უჭერს ან, ყოველ შემთხვევაში, არ ეწინააღმდეგება მაინც. "თავსაფარში ქალი უფრო ლამაზია," - ამტკიცებს სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ზულიხან ნაკუევა. მისი გრძელი, შავი თმა თავსაფრიდან იშლება, დიდი, ყავისფერი თვალები კი დახრილი აქვს.

ასეთი შეზღუდვები ბევრს აღიზიანებს. "როგორ ცხოვრობენ ქალები ჩეჩენეთში? - ისე, როგორც მათ ქმრები უბრძანებენ," - მიაჩნია 20 წლის თაისიას. მან გვთხოვა, არ გვეხსენებინა მისი გვარი, რადგან ემინია,

რომ თავის სიტყვების გამო პასუხისგება მოუწევს. თაისიას არ დაუხურავს თავსაფარი. გოგონა ამტკიცებს, რომ ასე თავის პროტესტს გამოხატავს.

ქალების უმეტესობა საზოგადოებაში ახლა თავსაფრით ჩნდება, სახეს იშვიათად იფარავენ, თუმცა ზოგ შემთხვევაში ბანდიტებით გამოიყურებიან. ის, ვინც სახლიდან თავშიშველი გამოდის, თავსაფარს ჩანთით ატარებს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაიფაროს.

ბევრს მიაჩნია, რომ ნოემბერში ამორალურობის მოტივით შვიდი ქალის მოკლა სინამდვილეში კადიროვის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. პრეზიდენტის მტკიცებით, მოკლული ქალები საზღვარგარეთ გამგზავრებას აპირებდნენ, სადაც თავი პროსტიტუციით უნდა ერჩინათ, მაგრამ ნათესავებმა მათი გეგმები შეიტყვეს და სწორედ ოჯახის შემარცხვენლები დახოცეს.

რესპუბლიკაში ასეთი ვერსიის ცოტას თუ სჯერა. "თუ ქალებს წესის მიხედვით ხოცავენ, ეს სრულიად საიდუმლოდ კეთდება, რათა ოჯახის წევრის უღირსი საქციელის შესახებ არავინ გაიგოს," - განმარტავს ცნობილი სამართალდამცველი გროზნოდან ნატალია ესტემიროვა. ის ყველა, რომ ორი დაღუპული ქალი გათხოვილი იყო და ორ-ორი შვილი ჰყავდათ. ქმრებმა მათ მდიდრული პროცესია მოუწყვეს და ოჯახის სხვა წევრების გვერდით დაკრძალეს, რაც არაფრით მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ქალები ოჯახებს შეარცხ-

ვენდნენ.

კადიროვის ვერსიას არც მოსკოვში, ფედერალურ პროკურატურაში ადასტურებენ. გამომძიებლები აცხადებენ, რომ ნათესავები მკვლელობაში არ მონაწილეობდნენ. ამ საქმესთან დაკავშირებით ჯერ არავინ დაუჭერიათ, გამოძიება გრძელდება. კადიროვის ადმინისტრაციაში გამოძიების დასკვნების შესახებ კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებენ.

მოსკოვის გამოცემა "ნოვია გაზეტა" იუწყება, რომ დახოცილი ქალებიდან რამდენიმე ბორდელში მუშაობდა, რომელსაც კადიროვის ხალხი ხშირად სტუმრობდა. ბევრი ჩეჩენი კი ვარაუდობს, რომ ქალები მილიციის მიერ ჩატარებულ ოპერაციაში ემსხვერპლნენ. სიმართლეს ამ დანაშაულის შესახებ, სავარაუდოდ, ვერასდროს გავიგებთ - რესპუბლიკაში კადიროვის ემინიათ.

ადამიანის უფლებების დამცველები შიშობენ, რომ კადიროვის მხრიდან ასეთი საქციელის მხარდაჭერამ, შესაძლოა მამაკაცებს ღირსების დაცვის მოტივით ახალი მკვლელობების ჩადენისკენ უბიძგოს, რაც ერთ-ერთ ჩეჩენურ ტრადიციად მიიჩნევა. ამ საკითხის შესახებ ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, თუმცა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების შეფასებით, მკვლელობის მსხვერპლი ქვეყანაში ყოველწლიურად ათობით ქალი ხდება. "პრეზიდენტის სიტყვა კანონია," - აცხადებს გისტამ საკაევა, რომელიც ქალთა უფლებების დაცვაში სპეციალიზებული აქტივისტია, - "რადგან პრე-

ზიდენტმა ასეთი განცხადება გააკეთა, ბევრი ეცდება მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ვინმეს მოკვლით, თუნდაც უმიზეზოდ."

საკაევას იხილ აწუხებს, რომ ახლა ხელისუფლება აღარ ეცდება კაცების დასჯას ქალების მკვლელობისთვის.

ამჟამინდელმა პრეზიდენტმა თავისი პოსტი შემკვიდრებით მამისგან, აჰმად კადიროვისგან, მუსლიმანი სასულიერო პირისა და წარსულში აჯანყებულთა ერთ-ერთი მეტაურისგან მიიღო, რომელიც ჩეჩენეთის გამათავისუფლებელ ომში 1994-1999 წლებში რუსების წინააღმდეგ იბრძოდა.

1999 წელს, მეორე იმის დაწყებიდან ძალიან მალე, უფროსი კადიროვი რუსების მხარეს გადავიდა და ჩეჩენეთი კვლავ კრემლს დაუმორჩილა. რამზან კადიროვი იმ პერიოდში მამის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობდა. მისი მისამართით ადამიანების გატაცების, სადისტურად ნამებისა და დახოცვის ბრალდებები ისმოდა. 2004 წელს, ტერაქტის შედეგად აჰმად კადიროვის გარდაცვალების შემდეგ, ძალაუფლება მის შვილს გადაეცა.

ვლადიმერ პუტინმა, რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა და ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა კადიროვ-უმცროსს. მან თავის მხრივ ბოლო მოუღო ტერაქტების ტალღას, რომელიც პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში რუსეთში ძალიან მძლავრი იყო.

რამზან კადიროვის მიერ ხელისუფლების კონსოლიდაციის პროცესში ბევრი მისი პოლიტიკური მონაწილედ შეგება კრიტიკოსი მოკვლეს. ზოგი მათგანი, მათ შორის ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაიაც, რომლის სიკვდილმაც 2006 წელს მსოფლიო შედრა, ქილერის ტყვიამ მოსკოვის ქუჩებში იმსხვერპლა.

ერთ-ერთი ბოლო მკვლელობის მსხვერპლი ის ჩეჩენი გახდა, რომელმაც თავის წამებაში პრეზიდენტს დასლო ბრალი. გასულ თვეში ამ ადამიანს ავსტრიის დედაქალაქ ვენის ქუჩაში ესროლეს იმ დროს, როდესაც ის სუპერმარკეტიდან გამოდიოდა. კადიროვი ამ დანაშაულებში თავის მონაწილეობას უარყოფს.

როგორც ჩანს, კრემლი მზად არის, კადიროვს კარტ-ბლანში შესთავაზოს იმ პირობით, რომ ის ქვეყანაში ძალადობის ხელახალი გამოვლინებებს არ დაუშვებს. ბევრი ჩეჩენი კადიროვის მადლიერია იმის გამო, რომ პრეზიდენტმა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა შეძლო. "ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ ცხოვრება წყნარდება," - განმარტავს ადამიანის უფლებათა დამცველი საკაევა, - ისინი ომით დაი-

მომზადა მარიკა იაშვილმა

სამენი: ობამა ბუშის შეცდომაზე იბიჯებს

სამუნა ბაბივი

თეირანში ოთხშაბათს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც პალესტინელი ხალხისადმი სოლიდარობას ეძღვნებოდა, ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერმა ლიდერმა შერატებულმა შტატების ისლამური ლიდერის პოლიტიკაზე ისაუბრა. აიათოლა ალი სამენის თქმით, შერატებულმა შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა ისრაელისთვის უსიტყვო მხარდაჭერით წინამორბედის შეცდომებს იმეორებს. ხა-

მენის აზრით, ეს უარყოფითი ფაქტორის როლს შეასრულებს, იმოქმედებს ისლამურ რესპუბლიკასთან ურთიერთობების გაუმჯობესების ობამასეული იმედების განხორციელებასზე.

საინფორმაციო სააგენტო "ეი-პი"-ს თანახმად, რომელიც სამენის განცხადებას ეყრდნობა, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, ბარაკ ობამა ცვლილებებზე საუბრობდა, მაგრამ, რატომღაც, მიმდინარე წელს მხარი დაუჭირა ისრაელის მიერ ინიცირებულ სამკვირიან გამანადგურებელ სამხედრო ოპერაციას ლა-

ზას სექტორში, რასაც ათასზე მეტი პალესტინელის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გასული წლის დეკემბრის ბოლოს, ისრაელმა ლაზას სექტორში, პალესტინის რადიკალური დაჯგუფებების სარაკეტო იერიშების საპასუხოდ, სამხედრო ოპერაცია, სახელწოდებით "ჩამოსხმული ტყვია" დაიწყო. იმ დროს საპრეზიდენტო უფლებამოსილებას ჯერ კიდევ ჯორჯ ბუში უმცროსი ახორციელებდა და რა გასაკვირია, რომ ობამა ახლოაღმოსავლურ საკითხში წინამორბედის პოზიციის შესახებ აცხადებდა, რომ ამერიკას

შეიძლება მხოლოდ ერთი პრეზიდენტი მართავდეს. თუმცა, რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიის დროს ისრაელის მხარეში დაბრუნებულს, ბარაკ ობამა აღნიშნავდა, რომ ისრაელს აქვს უფლება, დაიცვას თავი პალესტინელების იერიშისგან.

სამენის თქმით, ისრაელი "სიმსივნური წარმონაქმნია" და "პალესტინელების გადარჩენის ერთადერთი საშუალება" წინააღმდეგობაა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აიათოლა სამენიმ პალესტინელ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა.

თეირანში ჩატარებული ფორუმი, ანალიტიკოსთა აზრით, "შარმ ელ-შეიხის შეთქმულებაზე" პასუხი იყო. შარმ ელ-შეიხში ორი დღით ადრე დონორი ქვეყნების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, სადაც ლაზას სექტორის აღდგენის გეგმა განიხილეს. კონფერენციას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც დაესწრო და მოკავშირეებთან ერთად მიიღო შეთანხმება პალესტინური ანკლავისთვის სოლიდური თანხის გამოყოფაზე - მხოლოდ იმ პირობით, რომ თანხები "ჰამასის" ხელში არ მოხვდება.

რევოლუ

მორიბი დაპირება თუ საქმა...

თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი მინისტრმა მოინახულა

თამარ კიკნაველიძე

გუმინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ რურუა მოულოდნელად ეწვია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს.

"აქ ასეთი მდგომარეობა თუ დამხვდებოდა, არ მეგონა", - ასეთი იყო მინისტრის პირველი კომენტარი. სამუზეუმო მასალის თვალსაზრისით, მან აღმოჩენები გააკეთა, მაგრამ შენობის, საცავებისა თუ ფონდების სავალალო მდგომარეობამ მოლოდინს გადააჭარბა.

არადა, უკვე რამდენიმე წელია, რაც კარგარეთელის ქუჩაზე მდებარე შენობა, რომელიც თავისი არქიტექტურული იერსახით გამოირჩეულია, იმდენად ავარიულია, რომ იქ მუშაობა სახიფათოა.

მინისტრის ყურადღება, უპირველესად, ისტორიული ნაგებობის ნაპრალებად ქცეულმა ბზარებმა და დეფორმირებულმა საცავებმა მიიპყრო. მუზეუმის 62 თანამშრომელი ურთულეს პირობებში მუშაობს,



ნათია არაბიძის ფოტო

ბაზრქილაბა A10 გვირგვინი

განყოფილებათა უფროსების ხელფასი კი, 190 ლარია. მას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს.

"ეს მუზეუმი ხელოვნების ყველა დარგს მოიცავს. აქ მდიდარი მასალა ინახება. თუმცა, მას, სხვა მუზეუმებთან შედარებით, ყველაზე დაბალი დაფინანსება აქვს, რაც, მიმაჩნია, რომ გაუმართლებელია", - უთხრა მინისტრს მუზეუმის დირექტორმა ალექსო შალუტაშვილმა, რომელმაც შენობის რეაბილიტაციის და მასში თავმოყრილი მასალების სათანადოდ დაცვის დაპირება არაერთხელ მიიღო, მაგრამ ამოდ. ნიკოლოზ რურუა თავად დარწმუნდა, რომ მასალის გადასარჩენად დაპირება საქმედ უნდა იქცეს.

მინისტრმა დაათვალიერა რამდენიმე ფონდი, მაგალითად: ხელნაწერთა განყოფილება. ამ განყოფილების უფროსმა - თამარ მაისურაძემ გვითხრა, რომ ნიკოლოზ რურუას ინტერესი გამოიწვია აკაკი წერეთლის საზღვარგარეთის პასპორტმა.

ფრანკოფონიის თვე საქართველოში

ფრანგული დღესასწაულის ფარგლებში თბილისში უამრავი ღონისძიება გაიმართება

აკა ჩიკვაძე

დღეიდან, საფრანგეთის საელჩო საქართველოში, შვეიცარიის საელჩო და ალექსანდრე დიუმასის ფრანგული კულტურის ცენტრი ფრანკოფონიის დღესასწაულს აღნიშნავენ საქართველოში. მთელი მარტის განმავლობაში უამრავი მრავალფეროვანი - ლიტერატურული, პოეტური, მუსიკალური, სამეცნიერო, პედაგოგიური ღონისძიებები გაიმართება.

ფრანკოფონია 55 ქვეყნის გაერთიანებას ნარმოადგენს, რომლებსაც საერთო ღირებულებები აერთიანებთ. ეს არის დემოკრატიული ღირებულებები, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ. ყველა ეს ქვეყანა ერთად იცავს ფრანკოფონიის ქვეყნების პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკოფონიის ორგანიზაციაში საქართველო ამ ეტაპზე მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს, აქტიურად უჭერს მხარს ფრანგული ენის სწავლებასა და განვითარებას. ღონისძიებები, რომლებიც საქართველოში უკვე მეშვიდე წელია იმართება, ყველა იმ ფრანგულენოვანი, თუ არაფრანგულენოვანი ადამიანისთვისაა განკუთვნილი, ვისაც ფრანგული ენის იმ იდეებისა და გრძნობების სიმდიდრის, მრავალფეროვნებისა და თანამედროვეობის აღმოჩენის სურვილი გააჩნია, რომელთაც ეს ენა უკვე მრავალი წელია მთელს მსოფლიოში ავრცელებს. აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ალექსანდრე დიუმასის ფრანგული კულტურის ცენტრში გუმინ გამართულ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ, შვეიცარიის ელჩმა ლორენცო ან-



ბერგმა და ფრანგული კულტურის ცენტრის დირექტორმა ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ ფრანკოფონიის დღესასწაულის ფარგლებში საქართველოში ფრანგი მომხსენებელი და კლასიკური ლიტერატურის პროფესორი ჟაკ გოდე ჩამოვა, რომელიც რამდენიმე კონფერენციას გამართავს და ჟორჟ პერეკის შესახებ ისაუბრებს. მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება მოხსენება, თემაზე "ჟორჟ დიუმეზილი და კავკასია". იგი კავკასიის ერთ-ერთი სპეციალისტი გახლავთ, რომელმაც ძალიან კარგად ახსნა და განმარტა კავკასიური ენის სიმდიდრე საკუთარ ნაშრომებში. ჟორჟ დიუმეზელის შესახებ ლექციას ფრანგი ქართველოლოგი ბერნარდ უტიე წაიკითხავს, რომელიც საფრანგეთში ქართული ენის სწავლებითა დაკავებული და საქართველოს შესახებ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს იკვ-

ლევს. ტრადიციულად დღესასწაულს შვეიცარიის საელჩოც უერთდება და მისი ორგანიზებით ორი ღონისძიება - შვეიცარიელი მწერლის კორინა ბისი (ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფილმის "კორინა ბიი - ველური ქალბატონი" ჩვენება და მისი ნაწარმოებების მხატვრული კითხვა გაიმართება. კორინა ბისის ნაწარმოებებს შვეიცარიელი მსახიობი ვალერია ბერტოლოტო წაიკითხავს. ეს რეგიონალური პროექტი გახლავთ სადაც კორინა ბისის შესახებ ღონისძიებები არა მარტო თბილისში, არამედ ერევანსა და ბაქოშიც გაიმართება. "ჩვენ იმ ქვეყანათა რიცხვს მივუყვებით, სადაც ოფიციალურ ენად ფრანგულია გამოცხადებული და შესაბამისად ფრანკოფონიის ნარმომადგენელ 55 ქვეყნის რიცხვში შევდივართ. ტრადიციულად ჩვენ ამ წელსაც ვუერთდებით ღონისძიებებს, რომლებიც

საფრანგეთის საელჩოს ორგანიზებით ტარდება და საკუთარი პროგრამით წარვსდგებით ქართული აუდიტორიის წინაშე" - აღნიშნავს შვეიცარიის ელჩი საქართველოში ლორენცო ანბერგი. ფრანკოფონიის დღესასწაულთან დაკავშირებით წელს დამატებითი ღონისძიებებიც ჩატარდება. 5 და 6 მარტს "ბიბლიოპუსის" სტუმრობის პროგრამა აგვისტოს შედეგად დაზარალებული გორის რაიონის: ტყვიავს, ქერესა და ფლავის სამ ფრანგულენოვან სკოლას ესტუმრება. "ბიბლიოპუსი" პატარა ბიბლიოთეკით იმოგზაურებს, რაც ცალკეულ ეტაპზე წიგნების ირგვლივ ფრანგულენოვანი ანიმაციების ჩატარებას, ზოგჯერ განძივით ხელულებლად შენახული წიგნების თაროდან ჩამოღებას და მათ გაცოცხლებას შუნყოფს ხელს. "ბიბლიოპუსი" ნარმომადგენელი სპეციალურად შერ-

ჩეული მრავალფეროვანი და მიმზიდველი წიგნების წყალობით, ბავშვები თავად აღმოაჩენენ, რომ წიგნი შეიძლება მათ მეგობრად იქცეს.

ფრანკოფონიის პროგრამის ფარგლებში მონაწილეობას ქართველი სტუდენტებიც მიიღებენ. 12 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ფრანგული კულტურის ცენტრში ჟან-მარი გუსტავ კლეზიოს ნაწარმოებს - "მზე, ზღვა და ქარის" წაიკითხავენ, ხოლო 23 მარტს ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის მონპელიეს განყოფილების სტუდენტები ფრანგულ ენაზე დაწერილ ქართულ დეტექტივს - "ჯოჯოხეთი, მე-16 უბანია" ნარმომადგენენ.

ფრანკოფონიის საერთაშორისო დღეს - 20 მარტს, "მომავლის სიტყვის" კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები, სტუდენტები და მასწავლებლები დაჯილდოვდებიან. ამავე დღესვე გაიმართება საკმაოდ მნიშვნელოვანი კონფერენცია, თემაზე "ევროგაერთიანების პოზიცია რუსეთის მიმართ აგვისტოს მოვლენების შემდეგ", რომლის ორგანიზატორიც ჟორჟ დიუმეზილის სახელობის ანატოლიური კვლევის ფრანგული ინსტიტუტია. სადღესასწაულო თვის განმავლობაში გაიმართება ასევე კოტე ყუბანეიშვილის მიერ თარგმნილი ფრანგული ლექსების კითხვა - En rires და ჯგუფ "333"-სა და ნიაზ დიასამიძის კონცერტი.

თბილისის გარდა ფრანკოფონიის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები ქუთაისშიც გაიმართება, ხოლო 30 მარტს იგი ხობის თეატრში პრინცესა ვერონიკ მიურატის მიერ გამართული დღესასწაულით ოფიციალურად დაიხურება.

დათო ტყეშელაშვილის ხუთშაბათი



ხლეების ქვებზე

ერთხელ ჭიჭიკომ თქვა ღამის იორმულანლო ლას-ვეგასს მაცონებო და ვერ დავეთანხმე, რადგან ლას-ვეგასში არასოდეს ვყოფილვარ, თორემ ჭიჭიკოსა და ბიჭიკოს ნიჭიერება, საკამათო არც არის.

ჩემთვის იორმულანლო არჩევნებთან დაკავშირებული ადგილი უფროა - ერთ-ერთი დიდი სოფელი საქართველოში, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. სინამდვილეში მათი წინაპრები (ნანლის მაინც), ელიებიც იყვნენ და თარაქამებიც, მაგრამ რადგანაც მათი უმრავლესობა (ყველაზე უკეთ) აზერბაიჯანულად მეტყველებს, ქართველებიც მათ აზერბაიჯანელებს უწოდებენ. მართალია ისინი კეთილი და მშრომელი ხალხია, მაგრამ დემოკრატიული და თანამედროვე ფასეულობების მიღება და გათავისება, ჩვენზე მეტად უჭირთ. სწორედ ამიტომაც, ჩემმა მეგობრებმა, რომლებსაც ძალიან უნდათ რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანა იყოს, არჩევნების წინ (შევარდნაძის დროს) იორმულანლოში ჩასვლა გადაწყვიტეს. მათ გადაწყვიტეს რომ პირდაპირ და გულწრფელად აეხსნათ თოფის ყველაზე გავლენიანი ადამიანებისათვის თუ რატომ არის აუცილებელი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. ჩემს მეგობრებს იღუბია თუ არა, იმედი მაინც ჰქონდათ იმისა რომ იორმულანლოს მთავარი ავტორიტეტები და ახლოებით მაინც გაიგებდნენ თუ რა სიკეთე მოაქვს დემოკრატია და თვითონვე შეენიანაღმდეგებოდნენ არჩევნების მასიურ გაყალბებას. იმ გავლენიანმა აზერბაიჯანელებმა ისეთი ყურადღებით მოუსმინეს იმ ჩვენს მეგობრებს, რომ იმ დღეს არც კი გაღიმიეთ, მაგრამ არჩევნების დღეს, როცა მოხალისე დამკვირვებლებსა და აზერბაიჯანელებს შორის მილიცია ჩადგა, ადგილობრივმა ავტორიტეტებმა მართლა გულიანად იცინეს. სულ ასე სიცილით-კისკისით მოაქუჩებდნენ ხოლმე რამდენიმე ათეულ გაყალბებულ ბიულეტენს იორმულანლოელი ჯიგრები და ყველას თვალწინ საარჩევნო ყუთში ტენიდნენ. თანაც ჩაბენის დროს ამ ჩემს მეგობრებს კორდონის იქითა მხრიდან, ხმამაღლა და სიცილით გადმოსახებდნენ ხოლმე:

- ახ ხლებო, თქვენი დემოკრატიული არჩევნებიო!..

იმ იორმულანლოელ ჯიგრებს ჩვენ რასაკვირველია მართლა ხლებების ქვებზე ვგონივართ, რადგან სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ჩემი მეგობრები იქ აღარ ჩასულან დემოკრატიის დასაცავად არცერთ არჩევნებზე და იგივეს გაკეთება კი მათთვის, არც აღარავის დაუშლია. ადგილობრივმა ჯიგრებმაც გადაწყვიტეს რომ დემოკრატია ჩვენ მხოლოდ ევროპელების მოსატყუებლად გვჭირდება, თორემ სინამდვილეში გაყალბებული არჩევნები უფრო გვანჯობს და გვირჩევნია. ამიტომაც ჩემთვის, იმ ყველაზე მოარული შეკითხვის პასუხი (ნეტავ რა გვეშველება) იორმულანლოშია და ჩემის აზრით, მხოლოდ ის ხელისუფლება იქნება კარგი, რომელსაც ეცოდინება რომ საქართველოში რამდენიმე გეტოა (საიდანაც არჩევნების დროს), ნებისმიერი განადგებული პროცენტის ნამოლება შეიძლება, მაგრამ ამას მაინც არ იკადრებს. საქართველოსაც სწორედ ის პოლიტიკოსები სჭირდება, რომლებიც გაყალბებულ ხმებზე მაშინაც კი იტყვიან უარს, როცა ასეთი ხმები ძალიან დააკლდებათ. ჩემთვისაც (როგორც რიგითი ამომრჩევლისთვის), ყველაზე მისაღები და სასურველიც სწორედ ისეთი პოლიტიკური პარტია იქნება, რომელსაც ძალიან დასჭირდება ნებისმიერი ხმა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს გაყალბებულ ბიულეტენებს, რადგან ის ვინც ხმებს აყალბებს და იპარავს, ჩვენი შვილების მომავალსაც იპარავს და მომავალსაც აყალბებს. ზემოთქმული შეიძლება ზედმეტად პათეტიურადაც კი ჟღერდეს, მაგრამ სინამდვილეში ოდნავაც არ ვაჭარბებ და დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყანა, მართლა არჩევნებიდან იწყება...

მორიბი დაპირება თუ საქმა...

მ-9 ბავარდიან

ამის მსგავსი ექსპონატები მუზეუმში მრავლად ინახება, მარტო ხელნაწერთა განყოფილება 5267-ზე მეტ ექსპონატს ითვლის და ეს რაოდენობა მზარდია. მან ასევე დაათვალიერა იტალიაში დამზადებული კოსტუმების კოლექცია, ნახა ვერცხლის ვიკრიკინი, ვანში აღმოჩენილი ანტიკური ხანის თეატრალური ნიღბი, ძველი აფიშები, მათ შორის, რესტავრირებულიც...

ცალკე თემაა სამუზეუმო მასალის შენახვის პირობები და მათი დაცულობა. ეს იმდენად სერიოზული პრობლემაა, რომ თუ უახლოეს მომავალში არ გადაიჭრა, დღემდე შემორჩენილ ექსპონატებს განადგურება ემუქრება. მუზეუმის თანამშრომლები, როგორც ჩანს, ძალიანსმევენ არ იმუშებენ, რომ მათ ხელთ არსებული არქივი როგორმე შეინარჩუნონ. თუმცა, მათ ამის საშუალებას არც არსებული მდგომარეობა აძლევს და არც დაფინანსება. რომელ ტემპერატურულ რეჟიმზე უნდა ლაპარაკი, როდესაც შენობის წერტილის საშემოებარ არსებობს.

ნიკოლოზ რურუა: - "ამ მუზეუმში მართლაც უნიკალური მასალა ინახება, აქ ცნობილი და საამაყო ქართველების ნამუშევრების თავმოყრილი, მაგრამ ყველაფერი ძალიან სავალალო მდგომარეობაშია. ამ ექსპონატების ასეთი დაცვა არ შეიძლება. ერთადერთი, რამაც გამახარა ის არის, რომ ეს ის-



ტორიული მნიშვნელობის მქონე მასალა, ასეთი პირობების მიუხედავად, განიავებული, გაძარცვული და გაფანტული არ არის... მოსაგვარებელია შენობასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე, ნიმუშების ნორმალურ პირობებსა და ტემპერატურულ რეჟიმში შენახვის საკითხი. ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები, რათა მალე ეს მუზეუმი განახლდეს და თანამედროვე დონის ექსპოზიციითა და მონაცემებით აღიჭურვოს. ვიმედოვნებ, რომ ამ მუზეუმში დაცულ ექსპონატებს მალე, ქართველებთან ერთად, უცხოელებიც დაათვალიერებენ", - აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ და მუზეუმის სავალალო მდგომარეობის მიზეზად მისდამი

უყურადღებობა დაასახელა. გუშინ ენთუზიაზმით გამორჩეულ მუზეუმის თანამშრომლებს კიდევ ერთხელ გაუჩნდათ იმედი იმისა, რომ ქვეყანა გამოინახავს სახსრებს იმისათვის, რომ კულტურული მემკვიდრეობა გადაარჩინოს და სრულფასოვნად ამოქმედოს მუზეუმი, რომლის ისტორია 1927 წლიდან იწყება. მისი დამფუძნებელი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე დ. არსენიშვილი. ის თავდაპირველად სათეატრო მუზეუმად იწოდებოდა.

დაარსებიდან მოყოლებული, ამ დანესებულებამ თავი მოუყარა ქართული და უცხოური შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველ მასალებს, პირად არქივებს, ეპისტოლა-

ნაცნობი რეჟისორების უცნობი კინო

კინოთეატრ "ამირანში" 80-იანელთა თაობის სტუდენტური ფილმების ჩვენება დაინყო

ი ა ვეკუა

! - ისმის გადასაღებ მოედანზე, თუმცა ეს ჯერ კიდევ გამოუცდელი, ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი რეჟისორის ხმაა. ის პირველად მოხვდა კინოს ამ ჯადოსნურ სამყაროში, მაგრამ ისიც იცის, რომ აქ ყველა და ყველაფერი მას ემორჩილება. დღეს უკვე მისი სახელი ყველამ იცის, ქართული კინოს ისტორიაშია შესული, ხოლო ის დღე, როდესაც პირველად თქვა "!" უკვე თავად მისი ისტორიაა. კინოთეატრ "ამირანში" 80-იანელთა თაობის, კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის კინო ფაკულტეტის პირველი გამოშვების რეჟისორთა სტუდენტური ფილმების ჩვენება მიმდინარეობს.

პროექტი სახელწოდებით "უცნობი ქართული კინო" 14 რეჟისორის პირველ ნამუშევრებს აერთიანებს და იმდენად საინტერესოა, რამდენადაც შეგვიძლია თავად ვიხილოთ, როგორ იწყებოდა მათი კინოკარიერა. ამ დროისთვის კინოსტუდია "ქართული ფილმის" ბაზაზე აღდგენილი და საჩვენებლად გაზაზღვებულია დიტო ცინცაძის, გაა ბარამიძის, ტატიო კოტეტიშვილის, ნანა ჯანელიძის, ნანა ჯორჯაძის, გოდერძი ჩოხელის, დათო ჯანელიძის, გურამ პეტრიშვილის, ანდრო ჭიაურელის, რამაზ გიორგობიანის, შაქრო ჯორჯაძის, მიაა არჩვაძის, დათო ნაცვლიშვილისა და ოთარ ლითანიშვილის 70-80-იანი წლების მიჯნაზე გადაღებული სტუდენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

ჩვენების პირველი დღე გოდერძი ჩოხელის "მინის მზომელებმა" გახსნა. ფილმის პირველივე სცენა ამ რეჟისორის მთელი შემოქმედების ერთგვარი ლაიტმოტივითაა: გუდამაყრის ხეობის სილამაზე, ადგილობრივი მაცხოვრებლები, ირმად ქვეული მოხუცი და მისი ფოლკლორი - ეს სწორედ ისაა, რაც გოდერძი ჩოხელის ჯადოსნური კინოს პირველ ნაბიჯებს ქმნის. ფილმი ჩოხელისთვის ტრადიციულად მეტად სევდიანი და



ადამიანურია. გუდამაყრელები მათს ტოვებენ, იხიზნებიან, მამა-პაპისეულ მინას იფინებენ და ამის კონკრეტულ მიზეზად ავტორი არც მეტი არც ნაკლები კოლმეურნეობის მიერ მიწების არასწორად გადანაწილებას ასახელებს - აქვე არ დაგვიწყდეთ, რომ ფილმი 1978 წელს, კომუნისტური პიკის დროსაა გადაღებული.

კინემატოგრაფიულად პრაქტიკულად უნაკლო ოთარ ლითანიშვილის "ნადირობა" - მსუბუქი ისტორია ორ ახალბედა მონადირეზე. ფილმს სტუდენტური ნამუშევრისთვის შესაბამისი დინამიკა, ნყოფა და ხასიათი აქვს. ორივე, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პერსონაჟი საუკეთესოდაა გახსნილი, სიუჟეტი კი იმდენად ჩამთრევია, რომ ფილმი ეკრანიდან თვალის მოწყვეტის საშუალებას არ აძლევს, ვახტანგ კახიძის მუსიკა კი შესანიშნავ გარემოს ქმნის. ალეგორიულია დიტო ცინცაძის "დღე" - ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭის ერთი დღის ცხოვრება, სადაც არაფერი ხდება, არაფერია საინტერესო და მხოლოდ სხვების ცხოვრებით შეუძლია იკვებოს.

თენგიზ აბულაძის სახელოსნოს სტუდენტ ნანა ჯანელიძეს თამაზ ბიბილურის მოთხრობა "დიდი ბიჭი და პატარა ბიჭი" გადა-

ულია. ვისაც მოთხრობა ნაუკითხავს, მისთვის ეს ფილმი ორმაგად სასიამოვნო და საინტერესო იქნება - ნანა ჯანელიძემ სახასიათო ტიპაჟებითა და გარემოთი საუკეთესოდ შექმნა ორი ბიჭის ურთიერთობა, 16 წლის ბიჭის კაცობისკენ მიმავალი გზა და პატარა ბიჭის შურნარევი განწყობა. დაახლოებით ამავე თაობის ურთიერთობაზე დათო ჯანელიძის "1+1" სრულიად ბავშვი ლევან აბაშიძით მთავარ როლში. ფილმის პერსონაჟები სწორედ იმ სააკში არიან, როდესაც პირველ სიგარეტს უსინჯავენ გემოს, პირველად აწონებენ თავს გოგონებს და ასევე პირველად უწევენ ერთგულებისა და მეგობრობის დამტკიცება.

თემატურად ძალიან საინტერესოა ნანა ჯორჯაძის "ატლანტი", რომელსაც იმდენად დატვირთული სიუჟეტი არ აქვს, რამდენადაც ალეგორიულად სავსეა. ეს არის ზედმეტად ხათრიანი ადამიანის ამბავი, რომლის გაბრიყვება, დამცირება, გამოყენება ისევე შესაძლებელია, როგორც იმ საზოგადოებისა, რომელიც მზადაა ყველაფერს შეეგუოს და საკუთარი უფლებების დაცვისთვის არაფერი გააკეთოს. სწორედ აქ შემოდის ფილმში თითქოს არ არსებული პერსონაჟი (თავად ნანა ჯორჯაძის შესრულებით), რომელიც რო-

რულ ლიტერატურას, პარტიტურებს, მემორიალურ ნივთებს, ფერწერულ ნამუშევრებს, ესკიზებს, სკულპტურებს, აფიშებს, პროგრამებს, ფოტოებსა და ფოტონეგატივებს, კინოფილმებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს და ა.შ. დღეს მათი საერთო რაოდენობა 160 ათას ერთეულს აჭარბებს.

მუზეუმის ფონდებში ინახება ვანში აღმოჩენილი უძველესი არქეოლოგიური მონაპოვარიც და XX საუკუნის ავანგარდული ხელოვნების არაერთი ნიმუშიც, მეჩვიდმეტე საუკუნის ფერწერის ნიმუშები, სპარსული მინიატურები, გერმანული და ფრანგული გრაფიურები, ელენე ახვლედიანის, ირაკლი გამრეკელის, ლადო გულიაშვილის, სოლიკო ვირსალაძის, დავით კაკაბაძის, იაკობ ნიკოლაძის, პეტრე ოცხელის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, სერგო ქობულაძის და სხვათა ნამუშევრები.

აქვე დაცულია ლ. ბაქსტის, ალექსანდრე ბენუას, კირილე ზდანევიჩის, ფრანსუა ლევეს ნამუშევრები თუ თანამედროვე ხელოვნების მოღვაწეთა - გოგი ალექსი-მესხიშვილის, იური გეგეშიძის, ფარნაოზ ლაპიაშვილის, გიორგი გუნიას, ირაკლი ფარჯიანის, სერგო ფარაჯანოვის ნაწარმოებები.

აღსანიშნავია, XX საუკუნის დასაწყისში ჩანერილი და ჯერ კიდევ გაუმოწრავი ათასობით ქართული ხალხური სიმღერა, ქართველ და უცხოელ შემოქმედთა პირადი წერილები...

გორც საყვირი, გენბავთ განგამის ზარი ან სულაც სინდისი მთელი ქვეყნის გასაგონად ამღერებს აკორდეონზე სისხლის გამყინავ მელოდიას.

დათო ნაცვლიშვილი, კინოსტუდია "ქართული ფილმის" დირექტორი: "სტუდენტური ფილმების გადაღება ზუსტად ისე მიმდინარეობდა, როგორც ეს დღე კინოში ხდება. დგებოდა ბიუჯეტი, ტარდებოდა მსახიობების შერჩევა, ვმუშაობდით კინოფორით, პროფესიონალ ოპერატორებთან და სხვა ტექნიკურ პერსონალთან. ეს იყო ნამდვილ კინოში შესასვლელი ბილეთივით, რომელსაც ახლანდელი სტუდენტები სამსუხაროდ მოკლებული არიან. ჩემი ფილმი "ვერცხლის ქუჩა" 30 წელია არ მინახავს, ამიტომ ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო იყო, რომ ეს ნამუშევარი პროექტში მოხვდა."

ნანა ჯანელიძე, რეჟისორი: "გამიმართლა, რომ რეჟისორსა მაშინ ვსწავლობდი, როდესაც ამის საუკეთესო პირობები არსებობდა. ამიტომ ჩვენი თაობა ძალიან იყო მონდომებული, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოგვეყენებინა და მაქსიმალური შრომაც ჩავგვედო. თავად განსაჯეთ, ჩემი ფილმის ბიუჯეტი 60 ათას მანეთს შეადგენდა, რაც იმ დროს ძალიან დიდი თანხა იყო. ეს გვაძლევდა საშუალებას, რომ ნამუშევარი სრულყოფილი გამოსულიყო. სწორედ ამიტომ ჩვენი კინოსკოლის სტუდენტური ნამუშევრები საერთაშორისო კინოფესტივალებზე ყოველთვის აღწევდა წარმატებას, უცხოელებს კი უკვირდათ, როგორ ვახერხებდით ასეთი დონის ფილმების გადაღებას."

ვიდრე ჩვენება დაიწყებოდა, კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კინოსტუდია "ქართული ფილმის" წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის თანახმადაც კინოსარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება მიეცემათ პრაქტიკული სწავლება "ქართული კინოს" ბაზაზე გაიარონ.

პანტანასას ღვთისმშობელი ყოველთა დედოფლის საპანა

ზაჰესში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, ყოველთა დედოფლის - პანტანასას სახელობის დედათა მონასტერი, ყოველთა დედოფლის საპანა შენდება



პანტანასას ღვთისმშობელი XVII საუკუნის ხატია და მას დიდი ისტორია აქვს. ხატის ორიგინალი ათონის მთაზე, ვატოპეტის დიდ მონასტერში, ჩრდილოეთის კათოლიკონის ერთ-ერთ სვეტზეა დაბრძანებული და თავისი საოცარი თვისებებით გამოირჩევა. მას უამრავი სასწაული აქვს მოხდენილი და განსაკუთრებული შემწეა ონკოლოგიური დაავადებებისა. საოცარია ალბათ ის ფაქტი, რომ ვატოპეტის მონასტრიდან ამ ხატის მხოლოდ სამადსამი ასლი არსებობს. ერთი, როგორც ვთქვით თვითონ ვატოპეტის მონასტერშია დაბრძანებული. ხატის პირველი ასლი მისი მეტოქეონისთვის დაინერა, რომელიც ქსანცში თურქეთის საზღვართან ახლოს, რამოდენიმე კილომეტრში საოცარი სილამაზის, წყალზე მოტივტივე ტაძარშია დაბრძანებული, მეორე ასლი იოანე კრომტანტელის ხელმძღვანელობით დაინერა და ჩამობრძანდა რუსეთში ბავშვთა ონკოლოგიურ ცენტრში, მესამე ასლი კი ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიისთვის დაინერა, რომელიც 2003 წელს ტაძრის წინამძღვარმა მამა გიორგი რაზმაძემ ჩამობრძანა. „ჩვენ გერონტა ვერემთან გვაქვს ძალიან კარგი და დიდი ხნის ურთიერთობა. ამიტომ ჩვენ თხოვნით მივმართეთ მას, რომ სურვილი გქონოდა ამ ხატის ასლი საქართველოშიც ყოფილიყო. როდესაც ხატი მოგვქონდა, ათონის მთაზე შეხვედრის დროს გერონტა ვერემმა გვითხრა: - „თქვენ არ იცით რამხელა წყალობა მოდის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საქართველოში.“ ეს წყალობა მართლაც ნელ-ნელა ცხადდება და ადამიანებს აძლევს დიდ სულიერ ძალებს, გამორჩეულად კი ონკოლოგიური ავადმყოფობით დაავადებულ იმ ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებულად ელოდებიან ღვთის წყალობას.“ - გვიხსნის მამა გიორგი. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ტაძარში, კვირაში ორჯერ ოთხშაბათს და პარასკევს დღის 2 საათზე აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაცივმა სამკურნალო ზეთი



ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

ხატის სასწაულები

ათონის მთაზე დაცული პანტანასას ღვთისმშობელი დღევანდელ დღემდე ახდენს სასწაულს. ერთ-ერთმა ბერმა, რომელიც ამ ხატის წინაშე ლოცულობდა ჩვენებით ნახა, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი გაბრწყინდა და საოცარი თვისება მიიღო, რომელმაც უთხრა: - ჩემი გამოსახულებით მრავალი ადამიანი მიიღებს კურნებას და დიდ სულიერ ძალას. ჩვენების დასრულების შემდეგ, რამდენიმე დღეში ერთ-ერთი მომლოცველი მივიდა ათენიდან, რომელიც მაგიით იყო შეპყრობილი და ხატმა თავის სიახლოვეს არ მიუშვა. იგი მიხვდა თავის დანაშაულს და ხატის წინაშე შეინანა. შენდობა ითხოვა ბერებისგან, რის შემდეგაც პანტანასას ღვთისმშობელმა მისცა საშუალება, რომ მისულიყო და ხატს მთხვეოდა. მის შემდეგ აღთქმა დადო ამ ადამიანმა რომ საერთოდ შეიცვლიდა ცხოვრების წესს და მართლაც შეუთბა ქრისტიანულ ღვაწლს.

ბოლო სასწაული კი, რომელიც ხატის წინაშე აღესრულა ხრამში

გადავარდნილი ადამიანის განკურნებაა. იგი უფრო მდგომარეობაში იმყოფებოდა და ექიმები მის გადარჩენას არც კი ვარაუდობდნენ. თუმცა ამ ხატის წინაშე დედის ლოცვის შემდეგ იგი რამდენიმე დღეში საავადმყოფოდან სრულიად ჯანმრთელი გამოინერა. „ასეთი უამრავი სასწაული აღესრულება ამ საოცარი ხატის წინაშე. საოცარია ის მომენტიც, რომ უამრავი ონკოლოგიური ავადმყოფობით დაავადებული ადამიანი არის ამ ხატისგან განკურნებული. მის შესახებ სამადლობელი წერილებიც არის დაწერილი და გაგზავნილი ვატოპეტის მონასტერში. საოცარია ისიც, რომ ჩვენი პანტანასას ღვთისმშობლის ხატსაც უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული და დღემდე ამ ხატიდან წაღებული კანდელის ზეთი მრავალ ადამიანს აძლევს წყალობას, კურნებას და ის პროგრესირებადი ონკოლოგიური დაავადებები ერთ ზღვარზე ჩერდება და აღარ ვითარდება.“ - ამბობს მამა გიორგი.

მონასტრის მშენებლობა

არც ისე დიდი ხნის წინ კი გადაწყდა, რომ პანტანასას ღვთისმშობლის ხატისთვის ტაძარი აგებულიყო. თუმცა მამა გიორგის სულიერ შვილებს, რამდენიმე გოგონას სურვილი გაუჩნდათ მონასტ-

რული ცხოვრებისთვის მიეყოთ ხელი, რომლებიც გერონტა ვერემის კურთხევით საბერძნეთში, მის მეტოქეონში, მთავარ ანგელოზთა მონასტერში (ათენიდან დაახლოებით 180 კილომეტრის მოშორებით) წავიდნენ, სადაც ისინი ბერ-მონაზვნულ ცხოვრების წესს სწავლობენ. როგორც მამა გიორგი ამბობს: „ჩვენი გოგონები 5 წლით არიან წასულელები. უკვე წელიწად ნახევარი გავიდა და უნდა შევეცადოთ ამ პერიოდში დავასრულოთ მონასტრის მშენებლობა. საერთოდ მონასტრის მშენებლობა ასეა განსაზღვრული: შენდება ცენტრალური ტაძარი ყველა წმინდა ღვთისმშობლის მიძინების, ერთ მხარეს იქნება წმინდა გიორგის, მეორე მხარეს კი წმინდა ნიკოლოზის ტაძრები. მთლიან კომპლექსში კი დაახლოებით შეიძლება სხვადასხვა ზომის ეკლესიაა განსაზღვრული. ამასთან საცხოვრებელი კერია თავისი ინფრასტრუქტურით. პირველ ეტაპზე რა თქმა უნდა შევეცდებით ცენტრალური ტაძარი ავაშენოთ, კერია საცხოვრებელი და გალავანი, შემდეგ კი ღვთის წყალობით გავაგრძელებთ მშენებლობას. ალბათ წმინდობილი იქნება ის ფაქტი, რომ იქიდან დაბრუნებული დედები განსაკუთრებულად ილოცებენ იმ ონკოლოგიური ავადმყოფობით დაავადებული ადამიანებისთვის, რომელთა რიცხვიც, ჩვენს სამწუხაროდ ჩვენს პერიოდში ძალიან გაიზარდა.“

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონასტრის მშენებლობა შემოწმებულია დაინიშნა. როგორც ცნობილია განკურნებული ადამიანები თვითონ ხატს წირავდნენ სხვადასხვა სახის ძვირფას ნივთებს მადლიერების ნიშნად დედა ღვთისმშობლისა. როგორც მამა გიორგი ამბობს: „არსებობს ასეთი ტრადიცია. როცა არაღაც პერიოდში საცხოვრებელი სახის შემოწმებულია დაგროვდება, მათ ვხსნით და ჩვენც გერონტა ვერემის რჩევით დავიწყეთ მონასტრის საძირკვლის მშენებლობა. იმივე გვაქვს, რომ ბოლომდე მიყვანთ ამ კეთილშობილურ საქმეს. განსაკუთრებული იმედი გვაქვს კიდევ მართლმადიდებე-

ლი ქრისტიანებისა, რომლებიც შეგვეწვევიან და ხელს გავვიმართავენ მონასტრის მშენებლობაში.“

მღვდელი გიორგი რაზმაძე

პროფესიით სტომატოლოგია. ფეხბურთსაც თამაშობდა. არასდროს უფიქრია, რომ ოდესმე სასულიერო პირი გახდებოდა, თუმცა მეგობრებთან სულიერ და რელიგიურ საკითხებზე ხშირი საუბრის შემდეგ 90-იან წლებში პირველად პეტრე-პავლობის მარხვაც შეინახა, აღსარებაც თქვა და ზიარებაც მიიღო. როგორც თავად აღიარებს: „ასე ნელ-ნელა შევუდექი ამ ცხოვრებას.“ 1998 წლიდან კი ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარია. ახლა კი ფიქრობს, რომ ასეთი იყო ღვთის მონოდება და თავდაც ღვთის ნებას დაემორჩილა: „ბევრი ადამიანი მიდის უფლამდე სხვადასხვა გზით და ალბათ, ჩემს ცხოვრებაშიც იყო გარკვეული მომენტი, რამაც ამ გზამდე მიმიყვანა და დამაყენა. ჩვენ ქრისტიანები ცათა სასუფეველისკენ მივისწრაფვით და ვფიქრობ ამ ქვეყანაზე ყველა ქრისტიანის მიზანი ცხოვრება უნდა იყოს. მართალია ძალიან რთულია ამ წუთისოვლით ცხოვრების გზაზე დგომა, სიარული ამ ვინო გზაზე, მაგრამ თუკი ჩვენ გვწამს, რომ ქრისტე არსებობს, ის მოკვდა ჩვენთვის და ჩვენი გულისთვის აღსდგა, ცხოვრების კარები გავიღო სასუფეველისკენ, ჩვენც უნდა გავათვითცხოვიოთ და მასთან ერთად უნდა მოვკვდეთ, რომ მარადიულობაში უფალთან ერთად ვიყოთ. მე ამის ნამდვილად მჯერა და უამრავი მაგალითიც არის, როგორც წმინდანების ისე ქრისტეს ცხოვრებაში. ამიტომ მე ყველას ვუსურვებ ამ გზას შედგომოდნენ და იტვირთონ ის უღელი, რომელსაც ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა ჰქვია.“

P.S. ინფორმაცია მოგვანოდა და ვესაუბრეთ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარს მამა გიორგი რაზმაძეს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

5 მარტი, 2009 წელი

1. სსიპ თბილისის №200 სკოლა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე აცხადებს ღია ტენდერს 2009 წლის 10 მარტიდან 2010 წლის 1 იანვრამდე აღსაზრდელებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვას და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტის სახსრების. კვების პროდუქტების რაოდენობა და მონოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით.

2. დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი კოდი 220101502 ანგარიში 121949800. სატენდერო მოსაკრებელი კვების პროდუქტის მინოდებაზე, სსიპ თბილისის №200 სკოლა.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქერჩის ქუჩა №22, სსიპ თბილისის №200 სკოლა, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაცივმა ა. წ. 5 მარტიდან 25 მარტამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მინოდება 2010 წლის 1 იანვრამდე საარო სამართლის იურიდიული პირი - №200 სკოლის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქერჩის ქუჩა №22.

4. მინოდება უნდა განხორციელდეს ცალკეულ პარტიებად შემსყიდველის წინასწარი წერილობითი განაცხადიდან ერთი კვირის განმავლობაში.

5. მინოდებული პროდუქტია მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში კვების პროდუქტების მიმართ დადგენილ სტანდარტებს.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს ა. წ. 25 მარტიდან 26 მარტის 16.00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქერჩის ქუჩა №22.
7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - 7.1 იურიდიული პირისათვის:
 - ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
 - გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
 - 7.2 ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დანესტრულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
 - ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- 7.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
 - ა) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მონოდების შესახებ.
8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
9. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 26 მარტის 16,00 საათი. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 26 მარტის 16.00 საათზე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქერჩის ქ.№22, სსიპ თბილისის №200 სკოლა.
10. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №22. საკონტაქტო პირი: მარინა უჯმაჯურიძე, ტელ: 67-26-59.

სატენდერო კომისია

ახალი ჯაზი

დღეს მათა ბარათაშვილი კონსერვატორიის დიდ დარბაზში იმღერებს

ნა ვაკაძე

ქართული ჯაზის ვარსკვლავი მათა ბარათაშვილი დღეს მორიგ კონცერტს მართავს - ამჯერად კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში, ბანკ "რესპუბლიკას" კორპორაციულ სალამოზე. ეს იქნება მის მიერ საქართველოში ჩატარებული პირველი კონცერტი ლონდონური გასტროლების შემდეგ, რომლის შესახებაც უკვე არაერთხელ ვიამბეთ. ამჯერად მომდერალი მსმენელს სრულიად ახალ პროგრამას და ახალ დუეტებს შესთავაზებს.

მათა ბარათაშვილს აკომპანიმენტს ჯაზის ქართველი თაყვანისმცემლებისთვის ნაცნობი მუსიკოსები გაუწევენ: პიანისტი გიორგი რაქვიანი, კონტრაბასისტი გიორგი სამსონაძე და დრამერი ვია სალალიშვილი. გარდა ამისა სცენაზე იხილავთ კონტრაბასისტ თამაზ ყურაშვილს და ჯაზის ნამდვილ დედოფალს გულიკო ჭანტურიას, რომელთან ერთადაც მათა ბარათაშვილი პირველად იმღერებს. "გულიკო ჩემი დიდი ხნის მეგობარი და პედაგოგია. ის უდიდესი პროფესიონალია და მასთან ერთად სცენაზე გამოსვლა ჩემთვის ნამდვილი პატივია. მას შევთავაზებ ჩვენი დუეტისთვის კომპოზი-

ცია თავად შეერჩია. გულიკომ თელონიუს მონკისა და ჰერბი ჰენკოკის საკმაოდ რთული ნაწარმოებები შემოთავაზა, რაც ჩემთვის ნამდვილი გამოწვევა აღმოჩნდა. თუმცა ეს გამოწვევა მივიღე და შედეგად არაჩვეულებრივი დუეტი გამოვიდა", - ამბობს მათა ბარათაშვილი.

ნახსენები მუსიკოსების გარდა სცენაზე საქართველოში საფრანგეთის ელჩ ერიკ ფურნიესაც ვიხილავთ. როგორც ცნობილია, იგი საქსოფონზე უკრავს და ჯაზის შესრულების გამოცდილებაც აქვს. ელჩის მუსიკის მოსმენა ორ კომპოზიციაში შეგვეძლება.

რაც შეეხება რეპერტუარს, მათა ბარათაშვილმა მსმენელისთვის თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორებისა და კლასიკოსი ჯაზმუსრულებლების კომპოზიციები შეარჩია. მათ შორისაა თელონიუს მონკის, ბილ ევანსისა და სხვათა ნაწარმებები. შესრულებულია ძირითადად ის კომპოზიციები, რომლებიც ინსტრუმენტალისტებისთვისაა შექმნილი, ხოლო ქართველ მსმენელს არასდროს მოუსმენია. სიურპრიზის სახით მათა ბარათაშვილისა და თამაზ ყურაშვილის ექსპრომტსაც მოვისმენთ. "შევეცადე, რეპერტუარი რაც შეიძლება მრავალფეროვანი ყოფილიყო. ვიმღერებ როგორც მშვიდ ჯაზ ბალა-



დებს, ისე ენერგიულ კომპოზიციებსაც. ვფიქრობ, საინტერესო სალამო გამოვა", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მათა ბარათაშვილმა.

აქვე შეგახსენებთ, რომ სწორედ ბანკი "რესპუბლიკა" გახლდათ მუსიკოსის მიერ ლონდონში ჩატარებული კონცერტის სპონსორი. კონცერტი ბრიტანეთის დედაქალაქში 26 ნოემბერს "პუშკინ ჰაუსის" დარბაზში გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორების ნაწარმებები, ასევე ბრიტანელი ბენჯამინ ბრიტენის საოპერო ხმისთვის დაწერილი და ჯაზურად ინტერპრეტირებული კომპოზიციები. "მათა ბარათაშვილთან დიდი ხანია მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებს. იგი თავის საქმეს უმაღლეს დონეზე და დიდი პროფესიონალიზით ასრულებს, რაც ჩვენი ბანკისთვის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ამიტომ არასდროს ვამბობთ მასთან თანამშრომლობაზე უარს", - განაცხადა ბანკი "რესპუბლიკას" გენერალურმა დირექტორმა ფილბერ იმ.

უახლოეს მომავალში მათა ბარათაშვილს ასევე დაეგეგმილი აქვს არაერთ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა და გასტროლები, თუმცა ამის შესახებ მოგვიანებით გაუწყობთ.

ჯექსონი ბრუნდება

ხმები გაისმა, რომ პოპ-მუსიკის მეფე, მაიკლ ჯექსონი თავისი გამოცდების განახლებას აპირებს. ლონდონის საკონცერტო მოედან 02-ზე 5 მარტს მისგან განცხადებას ელოდებიან.

უკანასკნელად, ჯექსონი 2006 წელს ბრიტანეთის დედაქალაქში მსოფლიო მუსიკის დაჯილდოებაზე გამოვიდა. თუმცა ამ გამოსვლამ მსმენელს მოლოდინი არ გაუმართლა: ჯექსონმა მხოლოდ რამდენიმე ფრაზა იმღერა სიმღერებიდან "We Are The World".

მისი უკანასკნელი საკონცერტო ტური 12 წლის წინ ჩატარდა.

მართალია მომღერალი ბოლო წლებში პერიოდულად ჩნდებოდა ყურადღების ცენტრში, მაგრამ ეს მხოლოდ იმ გახმაურებული სკანდალების წყალობა იყო, რომლებიც ეხებოდა მის პირად ცხოვრებას, ფინანსურ მდგომარეობას ან ჯანმრთელობას.

მას ადანაშაულებენ ბავშვთა გარყვანაში, მაგრამ ოთხთვიანი სასამართლოს შემდეგ 2005 წელს ამართლებენ.

აპრილში მომღერალი იძულებულია გაყიდოს აუქციონზე თავისი რანჩოს დიდი ნაწილი ევერლანდი კალიფორნიაში.

ასეთი უდიდესი ინფორმაციები გამოსჭვივების პერიოდულად მისი ცხოვრებიდან და გვახსენებს რომ ის კიდევ ცოცხალია. შემოქმედებითი სიახლის სიაშიც ვხვდებით კი დიდი ხანია მის მსმენელს არ ჰქონია.

არადა, იყო დრო მისი ალბომები გინესის წიგნში შეჭვრიდათ, მისი სიმღერები კი ერთმანეთის მიყოლებით ხსნიდა ჩარტებს, რეკორდებს, იღებდა ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოებს და ქმნიდა პოპისა და დისკოს ეპოქას.

გინესის წიგნის შემდგენელთა აზ-

რით, ჯექსონი ალბომებმა "Thriller" და "Off the Wall" - მა აქცია შოუ-ბიზნესის ყველაზე წარმატებულ ვარსკვლავად. ამ, მისი ყველაზე პოპულარული ალბომების პროდუსერი რეჟისორი კვინსი ჯონსონი იყო, რომელიც ჯექსონმა ბრძოლით მიუზიკლის გადაღებებზე გაიცნო. მიუზიკლში მაიკლი დაიანა როსთან ერთად იღებდა მონაწილეობას.

პირველმა ალბომმა მუსიკოსი მსოფლიოს როგორც ნიჭიერი, ნათელი ახალგაზრდა მომღერალი და მოდური მოცეკვავე, ისე წარუდგინა. ბევრი მუსიკის კრიტიკოსი "Off the Wall" - ს დისკოს ეპოქის უკანასკნელ დიდ მწვერვალად თვლის.

შემდეგ იყო Thriller, რომელიც ისტორიაში ყველაზე გაყიდვად ალბომად შევიდა და საბოლოოდ შეცვალა მუსიკალური ბიზნესი.

1982 წლის ნოემბერში გამოსულმა ამ ალბომმა ამერიკას 7 სინგლი აჩუქა:

"The girl is mine" (დუეტი პოლ მაკარტნისთან ერთად), "Billie Jean" (პრემია "გრემი"- ყველაზე ძლიერი პიტი ჯექსონის მთელი კარიერის მანძილზე და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თრეკი ფანკ-მუსიკისა), Beat It (კიდევ ერთი გრემი), "Wanna Be Startin' Somethin'", "Human Nature", "Pretty Young Thing" და "Thriller".

ამ ალბომისათვის მან 8 გრემი (ამასთანავე ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში "წლის საუკეთესო ალბომი") და 7 ამერიკული მუსიკის პრემია მიიღო. 2001 წლის ივლისის მონაცემებით, შეერთებულ შტატებში გაყიდულია 26 მილიონი ალბომის ეგზემპლარი, რამაც ამერიკის ისტორიაში ყველაზე გაყიდვად ალბომთა რიცხვში მეორე ადგილზე მოახვედრა. ხოლო მთელს



მსოფლიოში ალბომი რეალიზებულ იქნა რეკორდული ტირაჟით 104 მილიონი კოპიით.

1996-1997 წლების ტურში ჯექსონმა ჩაატარა 82 კონცერტი 58 ქალაქში, მისი ბოლო ალბომი ახალი სიმღერებით კი გამოვიდა 2001 წელს.

2003 წელს მაიკლ ჯექსონი ახალ კრებულს "Number Ones"-ს უშვებს. მიუხედავად იმისა, რომ მასში მხო-

ლოდ ძველი საუკეთესო სიმღერებია შესული, 2004 წლისათვის გაყიდულმა ტირაჟმა 6 მილიონს მიაღწია.

2004 წელს გამოდის "Michael Jackson: The Ultimate Collection' Box Set", რომელიც 57 თრეკს და 13 ადრე გაკეთებულ უცნობ ჩანაწერს მოიცავს, ასევე 1992 წელს მისი ადრეული პერიოდის ცოცხალი კონცერტს, რაც ყველაზე კარგ წარმოდგენას იძლევა

ჯექსონის ნიჭსა და შესაძლებლობებზე.

სასამართლოს შემდეგ მაიკლი უჩრნალისტებისგან შორს კუნძულ ბახრენზე განმარტოვდა და ქარიშხალ "კატრინის" მსხვერპლის ხსოვნას მიძღვნილი სინგლის ჩასანერად დაიწყო მზადება. შემდეგ გამოიქვეყნა, რომ ბევრ მომდერალს არ სურდა პროექტში მონაწილეობის მიღება და სინგლიც "I Have This Dream" გაურკვეველი მიზეზების გამო სინათლეზე არ გამოსულა.

2008 წელს კომპანია სონი BMG-მ გლობალური აქცია წამოიწყო, რომლის ჩარჩოებშიც 20 ქვეყნის მცხოვრები მსმენელი ხმას აძლევს პოპის მეფის საუკეთესო სიმღერებს და ასეთი სახით იღებს მონაწილეობას ახალი კრებულის შექმნაში.

როგორც ვხედავთ, მოთხოვნა მაიკლ ჯექსონზე თითქმის არ განელეზულა. იმედს, რომ იგი ისევ ამღერდება ახალი ინფორმაციებიც ამძაფრებს. ცნობილია, რომ იგი ახალ სოლო ალბომზე მუშაობს, რომელიც 2009 წელს გამოვა და რომელშიც მონაწილეობას მიიღებს will.i.am, Aikon და Kenny West- ი.

ასე, რომ ლონდონში 5 მარტს გასაკეთებელი მისი განცხადება მართლაც, რომ ძალიან საინტერესოა. როგორც მოსალოდნელია მან ლონდონში 2009 წლის კონცერტების სერიის შესახებ უნდა ისაუბროს. მომავალი ოთხშაბათისათვის კი დაგეგმილია პრეს-კონფერენცია, რომელზეც მუსიკოსმა ფანატებს უნდა დაუმტკიცოს, რომ იგი კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში იმყოფება და შეძლებს გაუძლოს საკონცერტო დატვირთვას.

YouTube-ს საკუთარი სიბფონიური ორკესტრი ჰყავს

ინტერნეტ-სერვისმა YouTube, რომელიც Google Inc-ის მფლობელობაში იმყოფება, მუსიკოსების ნაკრები შეკრიბა, რომლებიც მხოლოდ კლასიკურ ინსტრუმენტებზე დაუკრავენ. YouTube-ის სიმფონიური ორკესტრში მსოფლიოს 30 ქვეყნიდან 90 მუსიკოსი

იქნება გაერთიანებული. იმისთვის, რომ ორკესტრში მომხდარიყვნენ, მუსიკოსებს კონკრეტული მონაწილეობის მიღება მოუხდათ. 2009 წლის 28 იანვრამდე, მათ სპეციალურად ამ შემთხვევისთვის შექმნილი ვიდეო რგოლი უნდა წარედგინათ, სადაც მათ მიერ ნებისმი-

ერ ინსტრუმენტზე შესრულებული კომპოზიტორ ტან დუნის ხუთნოტიანი ნაწარმოები იქნებოდა ჩანერილი. კონკურსში მონაწილეობა სამი ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო. ამის შემდეგ, ლონდონის და სან-ფრანცისკოს სიმფონიური ორკესტრის, ასევე ჰონკონ-

გის, ბერლინისა და ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრის პროფესიონალმა მუსიკოსებმა 200 ფინალისტი შეარჩიეს. 26 ინსტრუმენტზე დამკვერელი 90 გამარჯვებული, YouTube-ზე გამართული ხმის მიცემის შედეგად გამოვლინდა. გამარჯვებული მუსიკოსე-

ბი აპრილში სამდღიან მასტერ-კლასში მიიღებენ მონაწილეობას, რის შემდეგაც მათ მთავარი პრიზი - კარნეგი-ჰოლში გამოსვლა ელოდებათ. ორკესტრის დირიჟორი მაიკლ ტომასი იქნება, რომელიც სან-ფრანცისკოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორიც გახლავთ.

სპორტი

ქართველი წყალმოთხილაგურა ევროპაში საუკეთესოდ აღიარეს

ქართველი სპორტსმენების წარმატებით დიდად განებივრებული ნამდვილად არ ვართ. როდესაც ჩვენებურების მიღწევებზე ვსაუბრობთ, ცხადია, ძირითადად სპორტის ტრადიციულ სახეობებს მიმოვიხილავთ ხოლმე. ამ დღეებში კი ერთი სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ. ალბათ ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ქართველი სპორტსმენი 2008 წლის საუკეთესო წყალმოთხილაგურედ დასახელდებოდა ევროპაში. არადა, სწორედ ასე მოხდა.

იტალიაში მცხოვრები 36 წლის ქართველი გენადი გურალია წყალსათხილაგურა სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპის 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად აღიარა. გურალია აღიარეს იმ შედეგებისა და წარმატებების გამო, რაც ქართველ სპორტსმენს გასულ წელს ჰქონდა. 2008 წლის მსოფლიო თასსა და ევროპის ჩემპიონატზე გურალიამ სხვადასხვა სახეობებში რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა.

ევროპის საუკეთესო სპორტსმენად აღიარების შესახებ ინფორმაცია გურალიას ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელებმა მიიწოდეს.

"მართლაც სასიამოვნოა, რომ ევროპაში საუკეთესოდ დამასახელეს. ასეთ აღიარებას არ ველოდი, თუმცა გასულ წელს



გენადი გურალია ასპარეზობისას

ისეთი შედეგები მქონდა, რომ პირველობა რეალური იყო. რა თქმა უნდა, გახარებული ვარ. ეს ჩემთვის დამატებითი სტიმულია იმისთვის, რომ აქტიურ სპორტში დავრჩე", - განუცხადა გურალიამ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდს.

რაც შეეხება 2008 წლის მთავარ მიღწევას, ქართველმა სპორტსმენმა დიდი წარმატებით იასპარეზა ესპანეთის ქალაქ სესენაში გამართულ მსოფლიო თასსა და ევროპის ჩემპიონატზე, სადაც მთლიანობაში (როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა) 31 ქვეყნის 200-მდე

წარმომადგენელმა მოიყარა თავი.

შეჯიბრებაზე გურალიამ წყალსათხილაგურა სპორტის ყველა სახეობაში მოსინჯა ძალა - სლალომში, ფიგურებსა და ტრამპლინში, ასევე მრავალჭიბშიც, რომელიც სამივე სახეობას აერთიანებს.

საბოლოოდ გურალიამ მსოფლიო თასსა და ევროპის ჩემპიონატზე მრავალჭიბში პირველი ადგილები დაიკავა (3587,81 ქულა მსოფლიო თასზე და 2981,90 ქულა ევროპაზე). ასევე პირველი იყო მსოფლიო თასზე ფიგურებში და ევროპაზე - ტრამპლინსა (56.1 მეტრი) და ფიგურებში. იმავე მსოფლიო

თასზე ქართველი წყალმოთხილაგურე ტრამპლინში (53.8 მეტრი) მეორე ადგილს შეწვდა, რასაც ევროპაზე სლალომში მესამე ადგილი მიუმატა.

შეგახსენებთ, რომ თითქმის 15 წელიწადია, გენადი გურალიას ევროპაში წარმატებით გააქვს ქართული წყალსათხილაგურა სპორტის სახელი. ის საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იყო 1991 წელს, როდესაც ფოთში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. მაშინ, მის გარდა, ნაკრებში ირიცხებოდნენ კახა ქაჯაია, გიორგი სურგულაძე და ვალერი ბერაია. 1994 წლიდან გურალია საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობს და უკვე რა ხანია სპორტულ კარიერას მწვრთნელობაც უთავსებს. რამდენიმე წლის მანძილზე ის ხელშეკრულებით ავარჯიშებდა საბერძნეთის ნაკრებს. დღეს კი იტალიაში, სანჯერვასიოში (ბრეშია) ცხოვრობს და ერთ-ერთი ნამყვანი იტალიური კლუბის მწვრთნელია.

ფოთის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გურალიას არც ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება არ გაუცდენია. ყველა ტურნირზე იმ ქვეყნის დაფინანსებით მიემგზავრებოდა, რომელშიც იმ დროს მუშაობდა, თუმცა ყოველთვის საქართველოს სახელით გამოდიოდა.

"ინტერი" ან "მანჩესტერი"

იტალიური ფეხბურთის ლეგენდა, "მილანის" ყოფილი კაპიტანი ფრანკო ბარეზი მიმდინარე საფეხბურთო მოვლენებზე საუბრობს. "ამ სეზონში "მილანის" გამოსვლამ ბევრი გაანანყენა, ჩემპიონის ტიტული დაგვჭირდა, ასევე წარსულს ჩაბარდა უფას თასის მოპოვებაზე ფიქრი. ასეთ ადრეულ პერიოდში უფას თასიდან გამოვარდნა საშინელებაა, მაგრამ საჭიროა მოინახოს გზა, რათა ეს ურთულესი პერიოდი გადაილახოს. ვფიქრობ, ყველაფერი დალაგდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდს ტრავმირებული ფეხბურთელები დაუბრუნდებიან. სეზონის დასრულების შემდეგ ყველას მოგვინებს ერთად დაჯდომა და მშვიდ გარემოში ანალიზის გაკეთება, თუ რა მოხდა, რამ არ იმუშავა, რისი შეცვლაა საჭირო. არ ღირს ყველაფრის დარღვევა და ახლიდან გუნდის მშენებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდმა რამდენიმე თამაში წააგო. ჩვენს გუნდს აქვს ფუნდამენტი და ხელმძღვანელობამ იცის, რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ "მილანი" სატურნირო ცხრილის სათავეში დაბრუნდეს. მიმდინარე წელს მომწონს "ბარსელონას" თამაში, მაგრამ მეგონია, რომ ჩემპიონთა ლიგას ან "ინტერი" მოიგებს, ან "მანჩესტერ იუნაიტედი", - ამბობს ბარეზი.

ვინ შეცვლის ანჩელოტის?

იტალიის "მილანი" მიმდინარე სეზონში წარუმატებლად გამოდის. კლუბი უკვე გამოეთიშა უფას თასისთვის ბრძოლას მეთექვსმეტედივიანობა, ბოლო თამაში კი "სამპდორიასთან" სამარცხვინოდ დათმო, რითაც ისარგებლეს მისმა კონკურენტებმა და სატურნირო ცხრილში საგრძნობლად დაუახლოვდნენ მას. ბუნებრივია, ეს შედეგები აფიქრებს კლუბის ხელმძღვანელებს, რომელთაც ულტიმატუმი წაუყენეს ანჩელოტის - თუ მიმდინარე სეზონში გუნდი დაიკავებს მესამე ადგილზე უარეს პოზიციას, მას მოუწევს მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვება. ანჩელოტის საფარული შემცვლელად ამ კლუბის ლეგენდარული ფეხბურთელი, ჰოლანდიელი ფრანკ რაიკაარდი სახელდება, თუმცა არ გამოირცხავენ "ჩელსის" ახლანდელი მთავარი მწვრთნელის გუსტავო პეცის გადაბრუნების ვარიანტსაც.

კალაძე ხუთ თვეს დაისვენებს

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანმა და იტალიის "მილანის" მცველმა კახა კალაძემ ბელგიის ქალაქ ანტვერპენში მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც მიმდინარე სეზონში მოედანზე ვეღარ გავა. "ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ფეხბურთელს რეაბილიტაციისთვის დაახლოებით ხუთი თვე დასჭირდება", - ნათქვამია მილანელთა განცხადებაში, რომელიც კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ქართველმა ფეხბურთელმა გასული წლის 21 დეკემბერს, "ბოლონიასთან" 5:1 მოგებულ მატჩში მიიღო ტრავმა. ოპერაცია მაშინვე უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ბელგიაში, დოქტორ მარტინსის კლინიკაში ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ, მას ნემსებით მკურნალობა დაუნიშნეს. მართალია, კალაძე მოედანს 11 თებერვალს, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ირლანდია-საქართველოს (2:1) მატჩში დაუბრუნდა და 90 წუთი ითამაშა, მაგრამ მილანური დერბის დროს მუხლი ისევ გაუშინებდა, რის შემდეგაც ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. ამის გამო კაპიტანი მუნდიალის შესარჩევში ეროვნულ ნაკრებს 28 მარტს სტუმრად კვიპროსთან, ხოლო 1 აპრილს თბილისში ჩერნოგორიასთან გასამართ მატჩებში ვერ დაეხმარება.

ავსტრიელები ათ დღეში დასახელებენ მწვრთნელს

ავსტრიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ჩეხმა კარელ ბრიუკნერმა დაკავებული თანამდებობა დატოვა, მის შემცვლელს კი ქვეყნის საფეხბურთო კავშირი ათ დღეში დაასახელებს.

ბრიუკნერი ავსტრიელებს გასული წლის ზაფხულში ჩაუდგა სათავეში და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლის პირველივე მატჩში მისმა შეგირდებმა ფრანგები 3:1 დაამარცხეს. თუმცა, ბრიუკნერისთვის ეს გამარჯვება ერთადერთი აღმოჩნდა ავსტრიელთა თავკაცის პოსტზე, დანარჩენ ექვს მატჩში კი, ამხანაგურების ჩათვლით, 2 ფრედ ითამაშეს და 4 წააგეს.

ბეჰრამისთვის სეზონი დასრულდა

შვეიცარიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "ვესტ ჰემის" ნახევარმცველმა ვალონ ბეჰრამიმ დაადასტურა, რომ "მანჩესტერ სიტისთან" 0:1 წაგებულ მატჩში მიღებული ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში მოედანზე ვეღარ გავა.

"ჩემთვის სეზონი დამთავრებულია. უახლოესი 48 საათის განმავლობაში მაცნობებენ, მყესებზე ოპერაცია დამჭირდება თუ არა," - განაცხადა ბეჰრამიმ.

განვლილი მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს შვეიცარიელმა ფეხბურთელმა მუხლსა და კოჭში მტკივნეული დარტყმა მიიღო, რის გამოც წაადრევედ დატოვა მოედანი. ჯერჯერობით ექიმებს ბეჰრამის ტრავმის სიმძიმე არ დაუდგენიათ. თუ აღმოჩნდა, რომ მას მყესები განწყვეტილი აქვს, აუცილებლად ოპერაცია დასჭირდება.

ბერმანია ქართული ტანდემისტვის წარუმატებელი გამოდგა

საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების ტანდემისტვის გერმანიის გრან-პრის ეტაპი წარუმატებელი გამოდგა. საქართველოს საწყლოსნო ფედერაციის გენერალური მდივნის ირაკლი ბართაიას თქმით, შოთა კორახაშვილმა და ჭოლა ჭანტურამ სინქრონული და ინდივიდუალური ხტომები 3 მ. ტრამპლინიდან, ჩინეთის გრან-პრისგან განსხვავებით, წარუმატებლად იასპარეზეს. ნაკრებმა სინქრონულ ხტომაში მერვე შედეგი აჩვენა - 341 ქულა, ინდივიდუალურში კი 306 ქულით ჭანტურამ მე-16, ხოლო კორახაშვილმა 273 ქულით 22-ე ადგილი დაიკავა.

"ჩინეთის გრან-პრის შემდეგ გერმანიის ეტაპი მალევე გაიმართა. ამიტომ კორახაშვილმა და ჭანტურამ დასვენება ვერ მოასწრეს, თანაც, მათ უფროსი ასაკის და უფრო გამოცდილ სპორტსმენებთან მოუხდათ შეჯიბრება. ამიტომაც მივიღეთ ასეთი შედეგი. სინქრონულ ხტომებში მეოთხე ადგილის დაკავება შეგვეძლო, მაგრამ არ გამოვიდა, რადგან ექვსიდან მხოლოდ ორი ხტომა შეასრულეს კარგად. პირველი ადგილი, რო-



გორც მოსალოდნელი იყო, ჩინელებმა დაიკავეს, მეორე - უკრაინელებმა (ჩინეთი და უკრაინა ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსნები არიან), მესამე ადგილი კი მალაიზიამ დაიკავა.

რაც შეეხება ინდივიდუალურ ხტომას, ჭანტურის ბოლო ორი ხტომა რომ გამოსვლოდა, ნახევარფინალში გავიდოდა. მისგან, სულ მცირე, 360 ქულას

ველოდით. ჭოლას შედეგზე გარკვეული გაგვინა მსაჯებმაც იქონიეს.

ხვალ (ესე იგი, დღეს) რუსეთის გრან-პრი იწყება, მაგრამ ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ, რადგან გვინდა სრულფასოვნად მოვემზადოთ ევროპის ჩემპიონატისთვის (1-5 აპრილი). ინდივიდუალურ შეჯიბრებაში, სულ მცირე, 360, ხოლო სინქრო-

ნულში 370-380 ქულას ვეგემათ. იმის გამო, რომ დიდებს შორის ევროპის ჩემპიონატში ორივე სპორტსმენი პირველად მონაწილეობს, მეექვსე-მეხუთე ადგილებს დაკავებს ვისახავთ მიზნად. იმედი მაქვს, ორიდან ერთი სპორტსმენი მაინც ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხვდება", - გვითხრა ირაკლი ბართაიამ.

ტრაპატიონი ამხანაგური ავსტრალიასთან დაგეგმა

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული გუნდის მეთავე ირლანდიის ნაკრები მიმდინარე წლის 12 ავგვისტოს ავსტრალიასთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. მომავალი მატჩი გაიმართება სტადიონ "ტომონდ პარკზე", რომელიც სარაგბო კლუბ "მიუნსტერის" საშინაო არენაა.

"ტომონდ პარკზე" 26000 მაყურებელი ეტევა და ირლანდიაში სიდიდით მეოთხე ქალაქ ლაიმრიკის გარეუბანში მდებარეობს. სხვათა შორის, ბოლო 24 წლის განმავლობაში ირლანდიელები დუბლინის ფარგლებს მიღმა პირველ სპორტსა და მართავენ. 24 წლის წინ ირლანდიელები კორკში ესპანელებს დაუპირისპირდნენ.

"ტომონდ პარკი" საუცხოო სტადიონია და ჩვენ დაძაბულ მატჩს ველით," - განაცხადა ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ დელანიმ. 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე ჯოვანი ტრაპატიონის შეგირდები 4 მატჩის შემდეგ 10 ქულით ვჯგუფში მეორე ადგილზე არიან.

ტოგოს ბელგიელი განვრთნის

ტოგოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად ბელგიელი სპეციალისტი ჟან ტისენი დანიშნეს. 62 წლის ტისენმა ტოგოელთა თავაჯცის პოსტზე შეცვალა ანრი სტამბული, რომელიც გასული წლის ზაფხულში გადაადგა დაკავებული თანამდებობიდან.

ბელგიელმა ტოგოს ფეხბურთის ფედერაციასთან წელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი მთავარი ამოცანა 2010 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა.

ჯგუფში ტოგოს მეთავეები არიან კამერუნის, მაროკოსა და გაბონის ნაკრებები. სხვათა შორის, 14 წლის წინ ტისენი გაბონის ნაკრებს ავარჯიშებდა.

სარეკორდო კონტრაქტი

იტალიური "ინტერის" 37 წლის მეკარე ფრანჩესკო ტოლომ კლუბთან ხელშეკრულება (რომელიც მიმდინარე სეზონის ბოლოს იწურება) ორი წლით გაახანგრძლივა. ახალი კონტრაქტის მიხედვით, ვეტერანი მეკარე "ნერაძურში" 2011 წლის ივლისამდე დარჩება. "ვამაყო იმით, რომ ერთ-ერთმა ევროპულმა გრანდმა ჩემი კიდევ ორი სეზონით დატოვება გადაწყვიტა. ამით კლუბის რეკორდსმენი გავხდები - "ინტერს" აქამდე არასოდეს გაუფორმებია ორწლიანი კონტრაქტი 37 წლის ფეხბურთელთან. "ნერაძურის" შემადგენლობაში ბევრს მივალწი და იმედი მაქვს, კარიერის დასრულებამდე მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ტიტულს მოვიპოვებ. მთავარი ოცნება კი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა," - თქვა იტალიელმა მეკარემ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან საუბრისას.

"რომას" დამსტელს სასტელს უმზადებენ

იტალიელი არბიტრი ნიკოლა რიციოლი, რომელმაც სერია A-ს 26-ე ტურში ცენტრალური მატჩი - "ინტერი"- "რომა" - იმსაჯა, შესაძლოა რანგით დააქვეითონ და ელიტიდან სერია B-ს მატჩებში "გადაისროლონ". იტალიის საფეხბურთო უმაღლეს წრეებში აქტიურად განიხილავენ ამ ვარიანტს. აპენინური ფეხბურთის მამები რიციოლისთვის სასჯელის შერჩევაზე იმით არიან დიქტორები, რომ "ინტერი"- "რომა" დაპირისპირებაში მან დედაქალაქელთა კარში შეცდომით დანიშნა პენალტი და, საერთოდ, მთელი მატჩის განმავლობაში რამდენიმე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. დაქვეითებენ თუ არა მას სერია B-ში, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა დღესვე შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს ტურებში მას სერია A-ს მატჩების განსჯა არ მოუწევს. ამ შეხვედრასა და რიციოლის შეცდომებს მაშინვე გამოეხმაურა "ინტერის" უახლოესი მდევრები - "იუვენტუსის" პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი გილიცი.

"შესაძლოა, "ინტერი" ერთადერთი გუნდია, რომელიც მსაჯვთა არასწორი გადაწყვეტილებებით ჯერ არ დაზარალებულა. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, თითქმის ერთი წელია "ნერაძურის" კარში პენალტი არ დანიშნულა. იმის თქმა არ მინდა, თითქოს არბიტრები მორატის გუნდს განზრახ ეხმარებიან, მაგრამ ბოლო დროს რატომღაც ისე ხდება, რომ მსაჯვთა შეცდომებით მუდამ "ინტერის" მეთავეები ისჯებიან," - ამბობს კობოლი გილიცი. შეგახსენებთ, რომ რიციოლი "რომას" კარში პენალტი მაშინ დანიშნა, როცა დედაქალაქელები 3:1-ს ამარცხებდნენ მეტოქეს. ეს თერთმეტმეტრიანი მარკო ბალოტელიმ ზუსტად გამოიყენა. ცოტა ხანში კი ერნან კრესპომ "რომას" კარში კიდევ ერთი გოლი გაიტანა და მატჩი ფრედ - 3:3 დასრულდა.

"ლაციოს" პრეზიდენტი ცხიხეში გაუშვეს

რომის "ლაციოს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო საფონდო ბაზარზე მაქინაციისთვის გაასამართლეს და ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ჯარიმის სახით კი ის 65 ათას ევროს გადაიხდის. ლოტიტოს ბრალად დაედო "ლაციოს" აქციების 14.6%-ის ფარულად შესყიდვა, რისთვისაც მან საწარმოო მავნატი რობერტო მეცარომა გამოიყენა. ეს უკანასკნელი სასამართლოს გადაწყვეტილებით ასევე გისოსებს მიღმა აღმოჩნდა, სადაც 20 თვეს გაატარებს. ლოტიტომ საკუთარი ბრალი არ აღიარა, რომაულ კლუბს კი ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.

ბელამი სამ კვირას დაისვენებს

ინგლისის "მანჩესტერ სიტის" უელსელი თავდამსხმელი კრეიგ ბელამი პრემიერლიგის 27-ე ტურში "ვესტ ჰემთან" 0:1 ნაგებულ მატჩში მიღებული მუხლის ტრავმის გამო სამ კვირას ვერ ითამაშებს. "საუკეთესო შემთხვევაში ბელამი ორი ან სამი კვირის შემდეგ დაბრუნდება. ეს ტრავმა ახალი არ არის. მას მუხლის ქვედა მყისი დაუზიანდა. კრეიგის არყოფნა გუნდისთვის დიდი დანაკლისია," - განაცხადა მანჩესტერულთა თავჯცამ მარკ ჰოუზმა. ბელამი "სიტში" მიმდინარე წლის დასაწყისში ლონდონის "ვესტ ჰემთან" გადავიდა და პრემიერლიგაში ჩატარებულ ხუთ მატჩში 3 გოლი გაიტანა.

"მანუშ" სტამბული დაიპყრო



"მანუს" მორიგი შეტევა

მას შემდეგ, რაც "ბკ კიევიდან" ექვსი ლეგიონერი გაუშვეს და უკრაინული გუნდი ფაქტობრივად მარკოიშვილისა და დროზდოვის იმედად დარჩა, ბევრს ეგონა, რომ კიეველები, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე ევროპულ ტურნირებზეც დათმობდნენ პოზიციებს.

რაც შეეხება უკრაინის ჩემპიონატს, "ბკ კიევი" ლიდერობა მართლაც დათმო, თუმცა, საკადრო პრობლემების მიუხედავად, ევროპულ ასპარეზზე მარკოიშვილი და მისი თანაგუნდელები მაინც კარგად თამაშობენ. არადა, "ბკ კიევის" მწვრთნელს შემადგენლობის დაყენება მართლაც უჭირს და თითქმის ყველა მატჩს ექვსი კალათბურთელით თამაშობს.

ამ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ფიზას ევროპულენჯის გათამაშების მე-5 ტურში უკრაინული "ბკ კიევი" სტამბულში "გალათასარისთან" დადებით შედეგს მიაღწევდა, თუმცა კიეველებმა მცირე სენსაცია მოახდინეს და თურქული კლუბი უმანსოდ დატოვეს. "მანუშ" და კომპანია სტამბულში გამართული მატჩი ანგარიშით 80:73 მოიგეს. ამაში ქართველი კალათბურთელის უდიდესი ღვაწლიცაა, რადგან სწორედ მარკოიშვილი იყო ამ მატჩში კიე-

რა შეაშველა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. მარკოიშვილმა 10-დან 7 ორქულიანი და 7-დან 3 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი 5-ჯერ დაკარგა

დარასელიას თასი თბილისის მერიისა



თავდაცვის სამინისტროს გუნდის წევრი გახდა. საქართველოს სპორტსმენთა

და სპორტის მუშაკთა კავშირის თავჯდომარის ი. ბეჟვილის განცხადებით, ვიტალი დარასელიას

სახელობის ტურნირი სისტემატურ ხასიათს იღებს და ყოველწელს ორგანიზებულად ტარდება.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თაოსნობით, თბილისში, "ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში, რვა დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ვიტალი დარასელიას სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში.

ფინალში თბილისის მერიისა და საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გუნდები შეხვდნენ I ადგილი მერიის გუნდმა მოიპოვა, II - საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გუნდმა, III - თავდაცვის სამინისტროს ნაკრებმა.

საუკეთესო ფეხბურთელად თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი თემურ გიორგაძე დასახელდა. საუკეთესო გოლის ავტორი გიორგი კვანტალიანი გახდა (მერიის გუნდი).

საუკეთესო მცველის ტიტული რკინიგზის დეპარტამენტის გუნდის წევრმა მოიპოვა. საუკეთესო თავდამსხმელი

დით, მიმდინარეში კი ბევრ შანსს ვეძნით და ცოტას ვიყენებთ," - აღნიშნა რიბერიმ "კიკერის" ყურნალისტთან საუბარში.

ერთი შეხედვით ამ ორ უწყინარ კომენტარს ყურადღებას არავინ მიაქცევდა, რომ არა მანამდე განთავრებული მოვლენები, რომლებიც ფეხბურთელის ტრანსფერს უკავშირდება.

ყოველ შემთხვევაში, "ბაიერის" პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი რიბერის მიერ თანაგუნდელთა გაკრიტიკებას სწორედ ამ კონტექსტში განიხილავს.

"ყოველთვის პრობლემური ვითარება იქმნება, როცა მოთამაშეს გუნდიდან ნასვლა სურს და რაკი ამის არც ისე დიდი შანსი აქვს, კლუბს შუბლზე იარაღს ადებს, - თქვა მან "ბილდთან" საუბარში, - რიბერის განცხადებების მოსმენისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ის მიზანმიმართულად იქცევა ასე. უკვე დიდი ხანია "ბაიერი" მასზე დამოკიდებული და მის გარეშე საკუთარ თავს არ ჰგავს."

რიბერის არაერთხელ უთქვამს, რომ, დარჩება თუ არა იგი "ბაიერში" კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, ესე იგი, 2011 წლამდე, ძირითადად იმაზე

იქნება დამოკიდებული, გაძლიერდება თუ არა კლუბი საიმისოდ, რომ ჩემპიონთა ლიგაში "მანჩესტერ იუნაიტედს", "ჩელსის" ან "ბარსელონას" ლირსული პაექრობა გაუწიოს.

თუმცა კლინსმანს სჯერა, რომ ფრანგი კლუბიდან არსად არ წავა. "ათასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ის აქ დარჩება. მას ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს, ჩვენ კი ხელშეკრულების გახანგრძლივება გვინდა," - აღნიშნა მან სამშაბათს მიუნხენში მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

სხვა მხრივ, ბეკენბაუერი უერთდება "ბაიერის" კრიტიკას და თვლის, რომ გუნდი მეორე წრეში არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება. "ბრემენში ფრე ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ როცა 75 წუთის განმავლობაში ერთი მოთამაშით მეტი გყავს, ფრე მიუღებელი ხდება. 5 შეხვედრაში 4 ქულა ძალიან ცოტაა და, ცხადია, ამაზე პასუხი მწვრთნელსაც მოეთხოვება და მოთამაშებსაც, - განაცხადა მან ერთ-ერთი ბაიერნული ტელეარხით გამოსვლისას, - თუ შედეგები არ გაუმჯობესდება, კლინსმანი მშვიდ გარემოში ვერ იმუშავებს."



რიტიკებს. "მე დავიჩივლე მწვრთნელთან, რომ მარცხენა ფრთიდან შეტევისას საკმარისი მხარდაჭერა არ მაქვს, - უთხრა მან "ბილდს", - მან მიპასუხა, რომ მართალი ვარ." "გასულ სეზონში ხუთი მანსიდან სამს გოლით ვავიგრძენებ-

**საქართველოს კონტროლის პალატის
ბანცხალება ტენდერის ჩატარების შესახებ**

- საქართველოს კონტროლის პალატა აცხადებს ტენდერს ქ. ქუთაისში მდებარე (1380 კვ.მ) კონტროლის პალატის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
- სამუშაოს შესრულება განხორციელდება 2009 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე. საქართველოს კონტროლის პალატასა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურული კონვერტით) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 25 მარტის 16 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ქ. წამბუღის გამზ. №96. საქართველოს კონტროლის პალატა, ტელ: 78 81 46
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიულ პირთათვის:
 - ცნობები შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან დიკლინაცია და არ მიმდინარეობს გაკონტრირების ან ხაჩქციის საქმე;
 - ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებებისათვის.
 - ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან.
 - ინფორმაცია ანალოგიურ სამშენებლო სამუშაოთა წარმოების გამოცდილებაზე არანაკლებ სამი წლისა და ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა ბრუნვის ოდენობაზე არანაკლებ 5.000.000 (ხუთი მილიონი) ლარისა.
 - ფიზიკურ პირთათვის:
 - ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითურადაა;
 - ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებებისათვის;
 - ინფორმაცია ანალოგიურ სამშენებლო სამუშაოთა წარმოების გამოცდილებაზე არანაკლებ სამი წლისა და ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა ბრუნვის ოდენობაზე არანაკლებ 5.000.000 (ხუთი მილიონი) ლარისა.
- მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები 4.1 - 4.2 პუნქტების აბ-გდ ქვეპუნქტების მოთხოვნათა მიხედვით. ზემოაღნიშნულ

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შეღებნილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
- იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შენევის თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
 - სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია მოთხოვნილი თანხის 1%-ის ოდენობით.
 - ტენდერში გამოქვეყნებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია ხელშეკრულების დასრულების 5%-ის ოდენობით).
 - დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მისაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: (სახელმწიფო სახისა 220101222, სახაზინო კოდი - 302004700, ანგარიშის №200122900) გადახდის დანიშნულებაში მიუთითოთ საქართველოს კონტროლის პალატის სატენდერო მისაკრებელი და წარმოდგინეთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამბუღის გამზ. №96, ოთახი №231. რის შემდეგაც გადმოგეცემთ ქართულ ენაზე შეღებნილი სატენდერო დოკუმენტაცია 2009 წლის 24 მარტის 18 საათამდე.
 - დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს კონტროლის პალატაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამბუღის გამზ. №96, ტელ: 78 81 46. მკა სხსაძე.

ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოთა ტექნიკური დავალება (1380 კვ.მ)

№	სამუშაოთა დასახელება
1	ქ. ქუთაისში ო. აბაშიძის №22 კონტროლის პალატის ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია
2	წყალხადენი და კანალიზაცია
3	გათბობის სისტემა
4	შიდა ელექტრო საინტეგრაციო სამუშაოები
5	სუსტი დენები

საქართველოს
კონტროლის პალატის
სატენდერო კომისია

**ბანცხალება საქართველოს
(ბანკორობით) ტენდერის ჩატარების შესახებ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საქართველოს (ბანკორობით) ტენდერს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (თანმდევი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მისაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო სახისა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მისაკრებელი, ტენდერის დასახელება და წარმოდგინეთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას №8 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემთ ქართულ ენაზე შეღებნილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა აწ 5 მარტიდან 24 მარტის 18:00 საათამდე.

1. შესყიდვის ობიექტი:

ლოტი	მომსახურების დასახელება (ავტომანქანის მარკის მიხედვით)	განზომილება -რაოდენობა
1	„ტოიოტა“ (ყველა)	ერთეული 35
2	„მერსედესი“ (1995წ და ზევით)	ერთეული 12
3	„ბუენ-ვი“ (1995წ და ზევით)	ერთეული 10
4	ნისან „ტერანა“	ერთეული 1
	„გრანდ ჩეროკი“ (ყველა)	ერთეული 1
	„ლენდ როვერი“ (ყველა)	ერთეული 1
	ნისან „ნავარა“	ერთეული 1
5	„პიუნდი“ (ყველა)	ერთეული 11
	„კია“ (ყველა)	ერთეული 1
6	ავტომობილთა (ყველა)	ერთეული 2
	„მანი“ (ყველა)	ერთეული 1
	ივეკო (ყველა)	ერთეული 1
7	„მერსედესი“	ერთეული 2
	სატვირთო (ყველა)	ერთეული 2

2. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი ქ. თბილისი; 2009 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურების პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შეღებნილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 25 მარტის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან (სამწარმოო რეესტრიდან);
 - ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
 - ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება (საქალაქო სასამართლოდან);
- წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შეიძლება სატენდერო წინადადებები არ განიხილებას და გაუხსნელად უბრუნდებთ პრეტენდენტებს.
- ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
- აღტენრატული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
- ტენდერი ჩატარდება 25 მარტის 15:00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.
- პრეტენდენტების მიერ გაცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დახუსტებას არ ექვემდებარება.
- ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს წინადადების მოქმედების ვადას) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %-ის ოდენობით.
- დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: დავით რეხვიაშვილი, ტელ. 41-11-69; 877 94-27-77, ნინო განჯელაშვილი 8 77 52-81-83.

სატენდერო კომისია

- 1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



მძიმე წონაში დაბრუნებული კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) სპატიო ჩემპიონს ვიტალი კლიჩკოს, რომელმაც სპატიო წოდება ნიგერიელ სემიუელ პიტერზე გამარჯვების შემდეგ დამსახურებული ჩემპიონის წოდებაზე გაცვალა, მორიგი შერკინება ელის. 21 მარტს შტუტგარტში უკრაინელი გიგანტი კუბელ ხუან კარლოს გომესს ხვდება. კაცმა არ იცის, რითი დამთავრდება მათი შერკინება. ერთი რამ ფაქტია: თუ უკრაინელმა საბჭოს ქამარი წააგო, მისი დამბრუნებული აღარ არის, რადგან რინგზე მუშტების ქნევა მოხერხდება. თუ მაინც გადაწყვიტა, მხოლოდ იმიტომ, რომ რინგიდან ჩემპიონად წავიდეს. ასე კი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

ბლოკით

SLT - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააზრდეთ სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეამოგვიერთდით, ერთად დავეუზრუნოთ ბავშვები თაჰიანთ ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების, მოედნების და ტროტუარების საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 20 თებერვალს ხელშეკრულება გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან - „კოლხი“.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობებში საერთო სარგებლობის დაზიანებული ხის კიბეების შეკეთების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 19 თებერვალს ხელშეკრულება გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან - „ავარიული“.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „რაიონის ტერიტორიაზე შენობების თუნუქის სახურავების შეკეთების სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 18 თებერვალს ხელშეკრულებები ლოტების შესაბამისად გაფორმდა შემდეგ მომწოდებლებთან: N1 და N2 ლოტი - შპს „ჯიტიესემი“; N3, N4, N5 და N6 ლოტი - შპს „ლუნი კომპანი“. 2009 წლის 19 თებერვალს ხელშეკრულება N7, N8, N9 და N10 ლოტებზე გაფორმდა - შპს „ლატანი“-თან.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისათვის უფასო სასადილოში კვების ორგანიზების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 12 თებერვალს ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ მომწოდებლებთან: გ. ლეონიძის ქ. N11ა-ში მდებარე ფართში - ქალთა საქველმოქმედო ფონდი „ვიტორია“, ქეთევან ნამებულის ქ. N25-ში მდებარე ფართში - შპს „თარი 08“. ხოლო, 13 თებერვალს - კონსტიტუციის ქ. N13-ში მდებარე ფართში - ინდ. მენარმე „ელიზა დევედარიანთან“.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების“ სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 12 თებერვალს ხელშეკრულებები ლოტების შესაბამისად გაფორმდა შემდეგ მომწოდებლებთან: ს.ს. „კრწანისი პური“ - N1 ლოტში; შპს „ალმა 1“ - N2, N3, N4 და N5 ლოტებში.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია



ცხადება კონკურსი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თანამდებობის დასაკავებლად

სამუშაოს აღწერა:

- ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის ხელმძღვანელობა
- სხვადასხვა პროექტების ორგანიზება
- ურთიერთობა დონორ ორგანიზაციებთან

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ჰუმანიტარულ სფეროში)
- მუშაობის გამოცდილება მსგავს სამსახურში (სასურველია)
- ორგანიზებულობა და დისციპლინიზებულობა
- კომუნიკაბელურობა
- მაღალი პასუხისმგებლობის უნარი
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა (სასურველია)
- საოფისე პროგრამების (MS Office: Word, Excel; PowerPoint; Internet) სრულყოფილი ცოდნა

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- პირადობის მოწმობის ასლი
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV)
- სამოტივაციო წერილი
- სარეკომენდაციო წერილი

ხელფასი: 400 ლარი (გადასახადის ჩათვლით)

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 15 მარტი, 2009
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მერაბ ალექსიძის ქ. 1/3
ტელ.: (+995 32) 36 41 85
e-mail: info@manuscript.ge
www.manuscript.ge

საკონტაქტო პირი: ნინო მეურმიშვილი

დუბუთის მუნიციპალიტეტის სატენდერო განცხადებაში შესწორების შეტანის შესახებ

2009 წლის 24 თებერვლის „24საათში“ N 40 ნომერში გამოქვეყნებული განცხადება შეიცვალის შემდეგნაირად მესამე ლოტში მე-4 პუნქტი ამოვარდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. გუდამაყრის თემის სოფელი კიტოხის სასმელი წყლის გამოყვანა.
2. ანანურის თემის სოფელ ანანურის ეკლესიის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.
3. ანანურის თემის სოფელ ანანურის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.

სატენდერო კომისია

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტს ცვლილებები შეაქვს სატელევიზიო ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე სატენდერო განცხადებაში (გამოქვეყნებული 2009 წლის 19 თებერვლის გაზეთ 24 საათში“ N36)

სატელევიზიო ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილი იქნას ცვლილება და განცხადების მე-7 და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

7 პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, სატენდერო

რო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საბანკო ან სადაზღვევო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ს ოდენობით, გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

8 პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებით წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემსყიდველს საბანკო ან სადაზღვევო გარანტია წინასწარი ანგარიშსწორებისათვის მოთხოვნილი თანხის ოდენობით, ასევე ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა პრეტენდენტის ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გარანტიის გაცემის თაობაზე სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

სატენდერო კომისია



მონევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) საქართველო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გორჯომის წყალმომარაგების პროექტი

გორჯომის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (II ფაზა - ქსელი და კანალიზაცია)

